თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“
P.S.
„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

მეგა კრედიტი
Mega Credit
ქუთაისი, რუსთაველის 141 („ჰოპულში“); (0 431) 27 52 45
ქუთაისი, ყავჭავაძის 55/2 („მაკდონალდსთან“); (0 431) 27 67 10

„საერთო სასამართლოები“ — კანონპროექტი, რომელზეც ვერ თანხმდებიან

იხილეთ მე-2 გვერდზე

№ 9 (659) 1 - 7 აპრილი, 2013 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | www.psnews.ge

მოხელეებს მილიონები, ჯანდაცვას — თეთრები?

გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში განხილული და დამტკიცებულია

იხილეთ მე-3 გვერდზე

ბიზნესთან ჩასაფრებული სახელმწიფო

„სწორი საგადასახადო, ფისკალური, საინვესტიციო პოლიტიკა - ეს არის ის, რაც აუცილებელია დღეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის“

იხილეთ მე-6 გვერდზე

მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის უბინაოდ დარჩენილი ოჯახი

იხილეთ მე-3 გვერდზე

მწვანე აფთიაქი — 7. ჰოროსკოპი — 7. სკანვორდი — 7.

კორუფციული გარიგება თუ ცილისწამება?
იხილეთ მე-3 გვერდზე

რეგულაციები „საქართველოს ფოსტის“ სასარგებლოდ?
იხილეთ მე-2 გვერდზე

შეღავათიანი აგროსესხების გაცემა დაიწყო
იხილეთ მე-4 გვერდზე

სოფელ ხევში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა
იხილეთ მე-5 გვერდზე

რეზო ჭეიშვილი ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე
იხილეთ მე-5 გვერდზე

თეატრის საერთაშორისო დღე მესხიშვილის თეატრში
იხილეთ მე-5 გვერდზე

ჯადვარი, გუგულის კაბა
იხილეთ მე-7 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „ჰოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები
შენ გელოდება!
ქუთაისი, საავტო ცენტრი „ჰოპული“. წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PS news.ge
ISSN 1987-7056

„საერთო სასამართლოები" — კანონპროექტი, რომელზეც ვერ თანხმდებიან

„საერთო სასამართლოების შესახებ" კანონპროექტზე და ამ პროექტში იუსტიციის საბჭოს ხელახლა დაკომპლექტების საკითხზე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმება დამატებით გამართული კონსულტაციების შემდეგაც ვერ შედგა. ამ კანონპროექტს საკანონმდებლო ორგანო უკვე მეორე მოსმენით განიხილავს.

საპარლამენტო უმრავლესობა უწინდებურად აცხადებს, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს მიჰყვებიან, ხოლო უმცირესობა შეთავაზებულ მოდელს არ უჭერს მხარს და პირიქით — ამბობს, რომ ხელისუფლება ვენეციის კომისიის დასკვნას სწორედაც რომ არ ითვალისწინებს.

პარლამენტის თავმჯდომარის **დავით უსუფაშვილის** განცხადებით, იუსტიციის საბჭოს 15 წევრიდან უფლებამოსილებას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და კიდევ ერთი წევრი შეინარჩუნებენ. ამის შესახებ უსუფაშვილმა „საერთო სასამართლოების შესახებ" კანონპროექტთან დაკავშირებით უმცირესობასთან გამართული კონსულტაციების შემდეგ განაცხადა.

დავით უსუფაშვილის თქმით, იუსტიციის საბჭოს დღეევანდელი 15 წევრიდან, ხელისუფლების მიერ შეთავაზებული მოდელით, უფლებამოსილება შეუწყდება იმ 6 წევრს, რომელთაგან 4 პარლამენტის მიერ იყო დამტკიცებული და 2 — პრეზიდენტის მიერ; „დარჩენილი 9 წევრიდან უფლებამოსილებას შეინარჩუნებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და კიდევ ერთი წევრი, რომელიც აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომელიც ახალი კანონმდებლობით დგინდება," — ამბობს პარლამენტის თავმჯდომარე.

მისივე განცხადებით, რაც შეეხება მოსამართლეთა მხრიდან არჩეულ დანარჩენ წევრებს, მათ უფლებამოსილება შეუწყდებათ, მაგრამ ექნებათ საშუალება, მოსამართლეთა კონფერენციაზე საკუთარი კანდიდატურები დაასახელონ და, თუ კოლეგების მხარდაჭერა ექნებათ, კვლავ დაბრუნდებიან იუსტიციის საბჭოში.

„შესაბამისად, საუბრები იმის შესახებ, რომ ჩვენ ვადაზე ადრე ვწყვეტთ უფლებამოსილებას იუსტიციის საბჭოს წევრების, არის არასწორი. პირიქით, თუ ვინმეს დარჩა 1 ან 2 წელი და თუ ისინი მოიპოვებენ თავიანთი კოლეგების ნდობას, ახალი ვადით იქნებიან წარმოდგენილი იუსტიციის საბჭოში," — აცხადებს უსუფაშვილი და მიიჩნევს, რომ ამ საკითხში ხელისუფლება ვენეციის კომისიის რეკომენდაციას ეყრდნობა, რომლის თანახმადაც იმ პირებს, რომელთაც უფლებამოსილება შეუწყდებათ, მიეცეს საშუალება, მოსამართლეთა კონფერენციამ ან დაადასტუროს მათი წევრობა, ან უარყოს.

საპარლამენტო უმცირესობა: „უმრავლესობის შემოთავაზებული მოდელი მიუღებელია"

„თუ არაფერი არ იქნება გათვალისწინებული, რა თქმა უნდა, არ დავუჭერთ მხარს... რა თქმა უნდა, აქ საუბარია ვენეციის კომისიის დასკვნაზე, და არა რომელიმე ადგილობრივი პოლიტიკოსის ნება-სურვილზე" — ამბობს საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით დარჩიაშვილი.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის დავით ბაქრაძის განცხადებით, „საერთო სასამართლოების შესახებ კანონის" ხელისუფლების მიერ შეთავაზებული მექანიზმის ნაწილი მიუღებელია. ამის შესახებ ბაქრაძემ საპარლამენტო უმცირესობასა და უმრავლესობას შორის კონსულტაციების დასრულების შემდეგ განაცხადა.

„უმრავლესობის მიერ შემოთავაზებული მოდელით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრიდან 13 უნდა შეიცვალოს და ეს არანაირად არ არის ისე, როგორც ამას ვენეციის კომისია გვირჩევს. კომისიის რეკომენდაციაა, რომ ცვლილებები არ შეეხოს საბჭოს არჩეულ წევრებს, ამიტომ მიუღებელია ცვლილებების ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც მოსამართლეების მიერ არჩეული წევრები უნდა შეიცვალონ. ვინც არ უნდა იყოს საპარლამენტო უმრავლესობაში, პატივი უნდა სცეს მოსამართლეთა კონფერენციის გადაწყვეტილებას და არ უნდა მოხდეს მათი გადაწყვეტილების შეცვლა," — აცხადებს **დავით ბაქრაძე**.

უმცირესობის ლიდერის თქმით, რაც შეეხება საბჭოს წევრების მეორე ნაწილს, ე.წ. პოლიტიკურად დანიშნულ წევრებს, აქ ოპოზიცია მზად არის, შემხვედრი კონსტრუქციული ნაბიჯი გადადგას და უმრავლესობასთან სხვადასხვა მექანიზმები განიხილოს, მათ შორის — უმრავლესობის მიერ შემოთავაზებული მექანიზმი.

რა მიზანი აქვს საპარლამენტო უმრავლესობის მოდელს?!

„ისინი (იუსტიციის საბჭოს წევრები) დანიშნულები იყვნენ ამ თანამდებობაზე ერთპიროვნულად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით. ჩვენ ვცვლით ამ წესს და თითოეულ მოსამართლეს ექნება უფლებამოსილება, დაასახელოს თავის თავი ან კოლეგა; ისინი არჩეული იყვნენ ღია კენჭისყრით და ჩვენ ვამკვიდრებთ ფარულ კენჭისყრას, როდესაც ყველა მოსამართლეს ექნება თავის ნების სრულად და თავისუფლად გამოხატვის საშუალება," — ამბობს პარლამენტის თავმჯდომარე, როდესაც ახლა არსებულსა და შემოთავაზებულ მოდელს შორის სხვაობაზე საუბრობს. დავით უსუფაშვილი მიიჩნევს, რომ მთავრობის მიერ შემოთავაზებული მოდელი უფრო დემოკრატიულია და სასამართლოს რეალურ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს — მოსამართლე გათავისუფლდება ყველანაირი გავლენისაგან.

„ამ წევრთა უმრავლესობა, ვისაც უფლებამოსილება შეუწყდება, არიან თანამდებობის პირები, ანუ სასამართლოს თავმჯდომარეები და მოადგილეები. ჩვენ ვამბობთ, რომ მოსამართლეები უნდა გათავისუფლდნენ ყველასგან — პოლიტიკოსებისგანაც და საკუთარი სასამართლოების ხელმძღვანელების გავლენებისგანაც. და კიდევ, მათი ერთი ნაწილი სულაც არ არის არჩეული მოსამართლეების მიერ.

ისინი თანამდებობაზე გამწესდნენ დროებითი ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ, რომელსაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა. შესაბამისად, ჩვენ ამ ნაწილში სრულად ვიცავთ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან, ბატონ კოტე კუბლაშვილთან მიღწეულ შეთანხმებას და ვენეციის კომისიის დასკვნებს და ეს ნაწილი გავა უცვლელად მომავალ კვირაში," — აღნიშნა უსუფაშვილმა.

რაც შეეხება პარლამენტის მიერ ასარჩევ 6 წევრს, პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ვენეციის კომისიის რეკომენდაცია ამ ნაწილშიც სრულადაა გაზიარებული და მათი არჩევა 2/3-ის უმრავლესობით მოხდება. ამასთანავე, თვითონ ვენეციის კომისიის რჩევაა, რომ იყოს ისეთი მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც არავის ექნება არჩევნებში დაბლოკვის შესაძლებლობა ანუ ვაკანტური ადგილების დატოვების საშუალება.

„პირდაპირ გვეუბნებიან, რომ 2/3-ით იყოს არჩევა, მაგრამ, თუ დარჩა ვაკანტური ადგილები, მაშინ აბსოლუტური უმრავლესობით, ანუ 76 ხმით მოხდეს არჩევნები. შესაბამისად, ჩვენი ვერსია დაეფუძნება ამ მოდელს," — აღნიშნა უსუფაშვილმა და დასძინა, რომ ეს სრულ შესაბამისობაშია როგორც უცხოელი ექსპერტების დასკვნასთან, ისე საღ აზრთან. მისივე თქმით, ეს მოდელი საპარლამენტო უმცირესობასთან შეთანხმებული არ არის.

ცვლილებები მოსამართლეთა კორპუსს „ნაციონალური მოძრაობის" გავლენისაგან გაათავისუფლებს?!

„რაც მალე შევა „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში ცვლილებები, უფრო მალე განთავისუფლდება მოსამართლეთა კორპუსი „ნაციონალური მოძრაობის" გავლენისაგან," — აცხადებს კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის" თანათავმჯდომარე **მაია ხარაძე**. მისივე თქმით, იუსტიციის უმაღლესი საბჭო სასამართლო ორგანოების თვითმმართველ სუბიექტს წარმოადგენს, რომლის ძირითადი ფუნქციაა შეიმუშაოს და დაამტკიცოს საქართველოს საერთო სასამართლოების ორგანიზაციული მუშაობის წესი, განიხილოს სასამართლო სტატისტიკის ანალიზის მასალები და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ განახორციელოს დისციპლინური სამართალწარმოება.

„სწორედ ამ ფუნქციების ობიექტურად განხორციელებისათვის საჭიროა, იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტება ახალი წესით მოხდეს. იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებული კანონპროექტი, რომელსაც უახლოეს დღეებში პარლამენტი დაამტკიცებს, მოგვცემს შესაძლებლობას, საქართველოში დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება გვყავდეს და ის პოლიტიზებული აღარ იყოს," — მიიჩნევს კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის" თანათავმჯდომარე მაია ხარაძე.

პაატა ცნობილაძე

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

რედაქტორი:
ნანული ცხვედიანი

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

რეკლამის მენეჯერი:
ლელა თოლორდავა

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება,
არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S."
(„პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ბ. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

რეგულაციები „საქართველოს ფოსტის" სასარგებლოდ?

2013 წლის 25 იანვარს გამოიცა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება, რომლითაც საბაჟოზე საქონლის შემოტანასთან/გატანასთან და დეკლარირებასთან დაკავშირებულ პროცედურებში არსებითი ცვლილებები შევიდა. ამან საქონლის გადაზიდვის საქმიანობით დაკავებულ მეწარმეებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო" 26 მარტს გამოქვეყნებულ განცხადებაში ამბობს, ორგანიზაციას წერილით მიმართა ადგილობრივ მეწარმეთა ჯგუფმა, რომლებიც საქონლის გადაზიდვის საქმიანობას ეწევიან. მეწარმეებმა აღნიშნეს, რომ ისინი სამეწარმეო საქმიანობის პროცესში სერიოზულ შეფერხებებს აწყდებიან და მათ მიერ სამეწარმეო საქმიანობის გაგრძელების პერსპექტივა სერიოზული საფრთხის ქვეშ დგას. განცხადების ავტორები იმასაც აცხადებენ, რომ აღნიშნული რეგულაციები ბაზრიდან მათ განზრახ განდევნას ემსახურება და ერთი კონკრეტული გადამზიდველის — „საქართველოს ფოსტას" მონოპოლიურ მდგომარეობაში ჩაყენებას ისახავს მიზნად.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის" თქმით, ბრძანების ანალიზისას მართლაც გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა, რომლებიც მცირე და საშუალო გადამზიდველების საქმიანობისთვის მართლაც ხელის შემშლელ ფაქტორად შეიძლება იქნეს მიჩნეული. კერძოდ, ბრძანების თანახმად, რამდენიმე ისეთი პირობის დაკმაყოფილება მოეთხოვებათ, რომელიც ეჭვს იწვევს. მათ შორის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ გადამზიდველს ჰქონდეს საქონლის ორგანიზებულად გადაზიდვის სათანადო გამოცდილება და კარგი რეპუტაცია; „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს" მიაჩნია, რომ ეს ბაზარზე შესასვლელ ფორმალურ ბარიერს ქმნის და საქმიანობის დაწყების მსურველ ახალ მეწარმე სუბიექტს არათანაბარ პირობებში აყენებს. კერძოდ, ეს ნორმა შეუძლებელს ხდის ახალჩამოყალიბებული გადამზიდველის მიერ საქმიანობის დაწყებას.

„შეიძლება ითქვას, რომ „საქართველოს ფოსტა" არის ერთადერთი ეროვნული გადამზიდველი, რომელიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმს აკმაყოფილებს. კერძოდ, მას აქვს საქონლის გადაზიდვის სფეროში საქმიანობის გამოცდილება, საბაჟო საწყობი და საქართველოს შემოსავლების სამსახურის შესაბამის სერვერთან მიერთების შესაძლებლობა," — აცხადებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა".

ორგანიზაციის ინფორმაციით, საქართველოს ადგილობრივ გადამზიდველთა (შპს „Stargroup" და შპს „კარა") განცხადებით, „საქართველოს ფოსტის" კლიენტების შემთხვევაში არ ხდება იმ ნორმის ამოქმედება, რომელიც აწესებს გადამზიდველის პასუხისმგებლობას, რათა მან უზრუნველყოს იმპორტიორის მიერ იმპორტის გადასახდელებისა და მომსახურების საფასურის დროულად გადახდის ორგანიზება. გარდა ამისა, ზოგიერთ გადამზიდველს („შპს „კარა") საბაჟოზე ტვირთის განბაჟების შეფერხების დროს პირდაპირ შესთავაზეს ტვირთის „საქართველოს ფოსტაში" გადატანა და, ამ შემთხვევაში, მის სწრაფად განბაჟებას დაჰპირდნენ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, გადამზიდველთა განცხადებით, „საქართველოს ფოსტის" მიერ შეთავაზებული ტვირთის გადაზიდვის მომსახურების საფასური რამდენჯერმე აღემატებოდა სხვა ეროვნული გადამზიდველების მიერ შეთავაზებულს.

„ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ნორმების ამოქმედების მიზანია, დაწესდეს რეგულაციები „საქართველოს ფოსტის" სასარგებლოდ, რათა კონკურენტ ეროვნულ გადამზიდველებს ბაზრის აღნიშნულ სეგმენტზე საქმიანობისთვის პირობები გაურთულდეთ და საბოლოოდ განიდევნონ ბაზრიდან," — ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობის" განცხადებაში.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ამბობს, რომ ამ ბრძანების ამოცანაა არა რომელიმე კომპანიის განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენება, არამედ ამ სფეროს მოწესრიგება. ჩვენი მიზანია ერთდროულად ორი რამის გაკეთება; პირველი — არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩვენ დავუშვათ, ქვეყანაში ამ სფეროში იყოს ქაოსი. მეორეს მხრივ, ფირმებს უნდა შეეძლოთ ბიზნესის განვითარება.

„თქვენ იცით, რომ თავის დროზე ამ სფეროში იყო სერიოზული ხელოვნური მონოპოლია შექმნილი. ჩვენი ამოცანაა, რომ მოვაწესრიგოთ სიტუაცია, ჰქონდეს ამას კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმები, მაგრამ ამავე დროს გასაგებია, რომ თუკი ფირმას არა აქვს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ეს ფირმა, უბრალოდ, ვერ უზრუნველყოფს გამართულად მუშაობას," — ამბობს ფინანსთა მინისტრი. მისივე თქმით, საქართველოში რამდენიმე კომპანია მუშაობს ამ სფეროში და დღეს საუბარი იმაზე, რომ არის მონოპოლისტი, არ არის სწორი.

ნოდარ ხადური ამბობს, რომ ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციაა დაინტერესებული ამ საკითხით და სამინისტრო მზად არის, იმუშაოს ყველასთან ღიად და გამჭვირვალედ. „მზად ვართ, რომ გავიზიაროთ მათი შეხედულებები, მაგრამ ვინაიდან აქ არის ძალიან ბევრი რისკი, ჩვენ ვცდილობთ, მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ ადამიანებს იმისათვის, რათა ბიზნესი ჰქონდეთ, მაგრამკიდევ ერთხელ ვიმეორებ — ეს ყველაფერი არ შეიძლება გაკეთდეს ფისკალური წესრიგის ხარჯზე," — ასეთია ფინანსთა მინისტრის პოზიცია.

მისივე თქმით, მან პირადად თხოვა გადამზიდველ კომპანიებს პრობლემების მოგვარება, თუმცა, მიუხედავად ამ ორთვიანი პერიოდისა, კომპანიები მაინც არ აკმაყოფილებენ სახელმწიფოს მიერ დადგენილ კრიტერიუმებს.

პაატა ცნობილაძე

მოხელეებს მილიონები, ჯანდაცვას — თეთრები?

გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში განხილული და დამტკიცებულია

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის იმერეთის რეგიონის წარმომადგენლობამ ქუთაისის 2012 წლის ბიუჯეტის ანგარიშის შესრულების განხილვა მოაწყო. ასოციაცია ბიუჯეტის მონიტორინგს მთელი წლის განმავლობაში აწარმოებდა. შედეგების მიხედვით კი პროექტის „ჩაერთე შენი ქალაქის მართვაში" ფარგლებში მომზადდა ბიულეტენი, სადაც ასოციაციის მონიტორინგის შედეგებია აღწერილი.

გასული წლის ბიუჯეტი ქუთაისის საკრებულოს №143 დადგენილებით 364 450 000 ლარის ოდენობით განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 13 ცვლილება და წლის ბოლოს 678413000 ლარი შეადგინა. ახალგაზრდა ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ბიუჯეტირების პრაქტიკაში ხშირ ცვლილებას, როგორც წესი, საჭიროებს არაკვალიფიციურად დაგეგმილი ბიუჯეტი. თუმცა აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში ხშირი ცვლილების მიზეზი არა სუბიექტური, არამედ ობიექტური ფაქტორებია, კერძოდ — ქვეყნის საბიუჯეტო მოწყობა და სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის შემოსავლების გადანაწილების წესი.

მონიტორინგის შედეგებში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი შრომის ანაზღაურების ფონდს. **2012 წლის ბიუჯეტიდან თვითმმართველობის თანამშრომლებზე ხელფასების სახით 4 986 800 ლარი, ხოლო პრემიების სახით 1699 046 გაიცა. წლის განმავლობაში გაცემული პრემიების საერთო მოცულობამ ხელფასის სახით გაცემული ანაზღაურების 34%.** „მიგვაჩნია, რომ აუცილებელია პრემიების პოლიტიკის ნათლად ფორმულირება და მისი მკაფიო მიბმა საქმიანობის შედეგებთან, რათა ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა შეძლოს დაადგინოს, თუ რისთვის, რა მიღწევისთვის მიიღო ამა თუ იმ თანამშრომელმა დამატებითი ანაზღაურება პრემიის სახით?" — აცხადებენ ახალგაზრდა ეკონომისტები.

გასული წლის მანძილზე თვითმმართველობაში ხელშეკრულებით შტატგარეშედ აყვანილი იქნა 174 თანამშრომელი, თუმცა შტატგარეშე თანამშრომელთა აყვანასთან დაკავშირებული პოლიტიკა არ არის ნათელი და მოითხოვს დამატებით განმარტებებს. გაუმართლებელია შტატგარეშე თანამშრომელთა აყვანა მთელი წლის განმავლობაში.

თვითმმართველობის მიერ არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსით დაფუძნებული კულტურის, სპორტის, განათლების და ა.შ. დაწესებულებები ბიუჯეტიდან დაფინანსებას სუბსიდიების სახით იღებენ, რამაც 27 619 1000 ლარი შეადგინა. ვინაიდან აღნიშნული ააიპ-ების საქმიანობა ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ახალგაზრდა ეკონომისტთა შენიშვნებით, მათი საქმიანობის მიმართაც საჯაროობის იგივე ხარისხი უნდა იყოს მოთხოვნილი, როგორც თავად ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ.

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ ხარჯებს 6688 8000 ლარი შეადგინა.

2012 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ცალკეული პროგრამები არასრულყოფილად იქნა დაფინანსებული, მაგალითად: გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის, ღვარსადენების ექსპლუატაციისა და რეაბილიტაციის პროგრამებისათვის გამოყოფილი თანხის გარკვეული ნაწილი აუთვისებელი დარჩა, რის გამოც ქალაქში აღნიშნული პრობლემები სრულყოფილად არ მოგვარებულა.

***

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს უმალვე მოჰყვა სხვადასხვა პარტიის გამოხმაურება.

რესპუბლიკელებმა მერიის წინ ბრიფინგი გამართეს და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" ხალხის ბიუჯეტის მისაკუთრებაში დაადანაშაულეს და აღნიშნეს, რომ გასული წლის ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვა არასწორი პრიორიტეტების შედეგია.

„მაშინ, როდესაც 2012 წლის ბიუჯეტიდან ჯანდაცვაზე ერთი მილიონი ლარი დაიხარჯა, მერიის თანამშრომლების ხელფასების სახით 7 მილიონი ლარი იქნა გაცემული. დასუფთავებას ბიუჯეტიდან 3662400 ლარი ჰქონდა გამოყოფილი, მიუხედავად ამისა, მერიის სარდაფი ნაგვით არის სავსე. სადაც მუშაობენ, სადაც ყოველდღე დადიან, ის თუ ვერ დაასუფთავეს, როგორი დასუფთავებული იქნება ქალაქი და გარეუბნები?" — განაცხადა რესპუბლიკური პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის წარმომადგენელმა **ნატო ქათამაძემ**.

მან მერიის 2012 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდში არსებული მდგომარეობაც გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ სარეზერვო ფონდის 68% თანამშრომელთა ხელფასებზე გაცემა არის სწორედ ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვა.

ქათამაძის განცხადებას არაკომპეტენტური უწოდეს მერიის კონტროლის განყოფილებაში და აღნიშნეს, რომ გასული წლის ბიუჯეტის ვითომდა არამიზნობრივი ხარჯვა სიმართლეს არ შეესაბამება.

„ნებისმიერ ამ, ან მსგავს საკითხებზე ქუთაისის თვითმმართველობის ხელმძღვანელობა მზად არის, პასუხი აგოს და ყველაფერი ღია ეთერით განმარტოს. კომპეტენტურ შეკითხვაზე ყველა მიიღებს ასევე კომპეტენტურ და ფაქტობრივ ინფორმაციას," — განაცხადა მერიის კონტროლის განყოფილების უფროსმა **კობა გაბიანმა**.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე **მამუკა მღვდელაძე** გაცილებით თამამი მოთხოვნით გამოდის — ქუთაისის მერის და ვიცე-მერების დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვს და აცხადებს, რომ მაშინ, როდესაც ქალაქში მწვავე პოლიტიკური კრიზისია, მერი ევროპაში სტრესის მოსახსნელად არ უნდა დადიოდეს. მისივე განცხადებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" საკუთარ მოსახლეობას ბოიკოტს უცხადებს, ვინაიდან ვიცე-მერი აანონსებს, რომ თუკი ნაციონალთა პროკურატურაში დაბარებები არ შეწყდება, მაშინ ადგილობრივი თვითმმართველობა ქალაქისათვის აუცილებელ სერვისებს გათიშავს.

„ახლა, როდესაც არის შესაძლებლობა, რომ რეგიონალური განვითარების სამინისტროდან 43 მილიონამდე ლარი იყოს გამოყოფილი ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, მერი ყოვლად გაუმართლებელ და გაურკვეველ ვითარებაში არ უნდა იყოს შვეიცარიასა და უკრაინაში ორკვირიანი მივლინებით წასული. ამ ყველაფრით ზარალდება ქალაქის მოსახლეობა, სადაც სერიოზული პრობლემებია სასმელი წყლის მომარაგების თვალსაზრისით, დაუსრულებელია ლიფტების პროგრამა, ასევე შიდა გზებისა და სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება. ის უპრეცენდენტო თანხა, რაც ქალაქის ისტორიაში არ ყოფილა, რჩება კითხვის ნიშნის ქვეშ. ამიტომ, ამ ყველაფრის ფონზე, მოვითხოვთ — ვიზიტის დასრულებისთანავე გადადგეს ქალაქის მერი და ასევე ვიცე-მერები. შეიქმნას საკონკურსო კომისია, რომლის მეშვეობითაც შეირჩევა ახალი მერი. ამ მოთხოვნით საზოგადოებაში უკვე არსებობს საპროტესტო ტალღა, რომელსაც ჩვენი ფრაქციაც შეუერთდება. ამ ტალღას მივცემთ მიმართულებას და მივიღებთ ლოგიკურ დასასრულს მერის გადადგომით," — განაცხადა ქუთაისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ მამუკა მღვდელაძემ.

მღვდელაძის მოთხოვნას გამოეხმაურა ვიცე-მერი **ამირან ძოწენიძე.**

„ქალაქის მერი და მერიის ორი თანამშრომელი ორკვირიანი მივლინებით ქალაქისავე სასიკეთოდ იმყოფებიან ევროპაში და ეს მივლინება შვიდი ათასი ლარი დაჯდა. რაც, არა მგონია, ტრაგედია იყოს ქალაქისთვის. ასევე კარგი იქნება, თუ მამუკა მღვდელაძე განმარტავს, ბიუჯეტის მიზნობრივ ხარჯვაში რას გულისხმობს. რაც შეეხება ჩვენს ბოიკოტს, ჩემს ოპონენტს შევახსენებ, რომ მე გაფიცვის კანონიერი უფლება მაქვს და ვურჩევ, ხანდახან მაინც ჩაიხედოს კონსტიტუციაში," — განაცხადა ამირან ძოწენიძემ.

2012 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ქუთაისის საკრებულომ 29-ე სხდომაზე განიხილა. საკრებულოს თავმჯდომარემ **თამაზ მარგველაშვილმა** აღნიშნა, რომ ბიუჯეტთან დაკავშირებული ახალგაზრდა ეკონომისტთა მითითებები განხილული და პრაქტიკაში გატარებული იქნება.

ბიუჯეტის ანგარიშიც და დღის წესრიგში არსებული ცხრავე საკითხი საკრებულოს წევრებმა ჩვეული სისწრაფით განიხილეს და დაამტკიცეს.

ნესტან ჩაგელიშვილი

მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის უბინაოდ დარჩენილი ოჯახი

ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, კახა ხვარეშიას დედა თაღლითობის მსხვერპლი გახდა. უკვე ოთხი დღეა, დალი ხვარეშია ღამეს საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში ათევს.

კახა ხვარეშია: „დედაჩემი ღამეს სარდაფში ათევს, მე მეუღლის ბინაში ვცხოვრობ და იქ არ მომყვება. იგი ბელა ახალაიას ერთ-ერთი მსხვერპლია."

ახალგაზრდობის გამზირის 56/28-ში მდებარე სამოთახიანი ბინა დალი ხვარეშიას ყოფილმა რძალმა, 30 წლის ბელა ახალაიამ, ყალბი მინდობილობის საფუძველზე წაართვა და რამდენჯერმე იპოთეკით დატვირთა.

დალი ხვარეშია: არაფერი აღარ გამაჩნია, ჩემს შვილს თავისი ოჯახი აქვს და მე იქ ვერ მივალ. მე ხელი არაფერზე მომიწერია, საბერძნეთში ვიყავი, მან კი ამით ისარგებლა! არ დავთმობ, ყველა გაგვწირა, ჩემს შვილიშვილებს რა ვუყო?"

დალი ხვარეშია საბერძნეთში მუშაობდა, ბელა ახალაიას მიერ წარმოდგენილი მინდობილობით კი, ყოფილმა დედამთილმა მას უძრავი ქონების განკარგვის უფლება მოსკოვიდან შვეიცარიის საელჩოს დახმარებით მისცა. ბელა ახალაიას თაღლითობის მსხვერპლი მისი საკუთარი ოჯახის წევრებიც გახდნენ, რაც გაზეთ „*P.S.*"-თან ახალაიას ბებიამ **ციალა ჭიღლაშვილმა** დაადასტურა. „ქვენ უკვე გეცოდინებათ ჩემი ამბავი. ბელა ნაქირავებში ცხოვრობს და ზუსტი მისამართი არ ვიცი. მისი თაღლითობის მსხვერპლი მეც გავხდი. ჩემი მაღაზია და მიწა ყალბი მინდობილობით მიითვისა, გაყიდა და წვალებით დავიბრუნე. ჩემი დადასტურება რად გინდათ, თაღლითობაში ბრალი მას სასამართლომ დასდო."

როგორც გავარკვიეთ, ბელა ახალაია უმცროს შვილთან ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე ბინაში ცხოვრობს. გაზეთმა „*P.S.*-მა მისი კომენტარის მოპოვება სცადა, თუმცა გაირკვა, რომ ახალაია შინ ხშირად არ იმყოფება. ახალაია თაღლითობის ბრალდებით სამთვიან წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა. მას 22 ოფიციალური მევალე ჰყავს, რომელთა გასტუმრებაც ახალაიამ, სასამართლოს გადაწყვეტილებით, 6 თვის განმავლობაში უნდა მოახერხოს. ხვარეშიების ოჯახმა სარჩელი ყოფილი რძლის წინააღმდეგ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 26 მარტს შეიტანა. ბელა ახალაიას თაღლითობის მუხლს, სავარაუდოდ, კიდევ ერთხელ წაუყენებენ.

ლევან ფანცხავა

კორუფციული გარიგება თუ ცილისწამება?

საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ცენტრის დირექტორის, სულხან ქობულაძის განცხადებით, ქუთაისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახურში კორუფციული გარიგებები ხდება.

ამის შესახებ სულხან ქობულაძემ 29 მარტს ქუთაისის „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში" ჟურნალისტებს განუცხადა.

„ნაციონალური მოძრაობის" კოორდინატორები მიდიან მოქალაქეებთან, ართმევენ პირადობის მოწმობას და მათ სახელზე თვითონვე წერენ განცხადებას, რომ არიან სოციალურად დაუცველები. რამდენიმე დღის შემდეგ ეს კოორდინატორები ამ მოქალაქეებს ოჯახში აკითხავენ, მიჰყავთ ბანკში და იქიდან გამოაქვთ ფული. ამ ფულს თვითონ კოორდინატორები, საქალაქო სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, ინაწილებენ. მინდა გითხრათ, რომ ეს ადამიანები მე გადავამოწმე, არცერთი მათგანი არ არის სოციალურად გაჭირვებული," — განაცხადა სულხან ქობულაძემ.

სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი **კახა ქორიძე** ბრალდებებს ცილისწამებას უწოდებს და აცხადებს, რომ თუ ამ ფაქტით სამართალდამცველები დაინტერესდებიან, ნებისმიერ დროს მზად არის თანამშრომლობისთვის.

ნოდარ ჯოჯუა
psnews.ge

შეღავათიანი აგროსესხების გაცემა დაიწყო

სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის შეღავათიანი სესხის გაცემა უკვე დაწყებულია. სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამის შესახებ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის" პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. გასულ კვირას, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" გამართულ ღონისძიებას საქართველოს საბანკო სექტორი და პროექტის განმახორციელებელი სტრუქტურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი", რომელსაც „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი" აფინანსებს, მისი განხორციელება კი, „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს" დაეკისრა.

გასული 3 თვის განმავლობაში სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციებთან, ასევე სოფლის მეურნეობის საწარმოო საშუალებების მიმწოდებლებთან. სწორედ მათთან კონსულტაციების საფუძველზე პროექტის 3 კომპონენტი გამოიკვეთა.

პირველი კომპონენტი მცირე ფერმერებს საშუალებას აძლევს, 5000 ლარის ფარგლებში 6-თვიანი უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მიიღონ. იმ შემთხვევაში, თუ კი ფერმერები კრედიტს 6 თვეში ვერ დაფარავენ, ყოველ მომდევნო თვეში მათ 3 პროცენტის გადახდა მოუწევთ.

უპროცენტო განვადებით სარგებლობისას, მაღაზია ფერმერს შესასყიდი პროდუქციის საფასურის ანგარიშს (ინვოისს) გამოუწერს, რომელსაც საფინანსო ინსტიტუტი აანაზღაურებს.

საფინანსო ინსტიტუტსა და მაღაზიას შორის მოლაპარაკების შედეგად, ფერმერს/მეწარმეს საშუალება ეძლევა, პროდუქციის წარმოების სრული ციკლის განმავლობაში, გამოიტანოს მაღაზიიდან მისთვის საჭირო საწარმოო საშუალებები, სათესლე და სარგავი მასალა, პესტიციდები, ვეტპრეპარატები, გარდა სასუქისა.

მეორე კომპონენტი საშუალო და მსხვილ ფერმერებზეა გათვლილი, რომელიც ითვალისწინებს 5000-დან 100 000 ლარამდე ორწლიანი აგროკრედიტის გაცემას. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი 8 პროცენტზე მაღალი არ იქნება. მისი მიზანია საბრუნავი საშუალებების და მარაგების შესყიდვის დაფინანსება მოკლე ვადით.

მესამე კომპონენტი 1 მლნ ლარამდე (ექვივალენტი აშშ დოლარში) სესხს შეადგენს. ეს არის აგროსაწარმოებისთვის განკუთვნილი 7 წლამდე შეღავათიანი აგროკრედიტი. მისი წლიური საპროცენტო განაკვეთი არაუმეტეს 3 პროცენტი იქნება. აგროკრედიტი ითვალისწინებს ძირითადი საშუალებებისა და ტექნოლოგიების ხანგრძლივი პერიოდით დაფინანსებას...

სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, რომ აღნიშნული მესამე კომპონენტი, მინიმუმ, 60 საწარმოს გახსნას ითვალისწინებს.

სესხის დამტკიცების შემდეგ, მსესხებელს დაბალი საპროცენტო განაკვეთი დაერიცხება, თუმცა, რეალურად, ბანკი მას უფრო მაღალ პროცენტში გასცემს. ამ განსხვავებას „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდიდან" გამოყოფილი თანხით „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო" დაფარავს. „იმისთვის, რომ მეწარმემ შეღავათიანი სესხი მიიღოს, ბანკს უნდა მიმართოს და ბიზნესპროექტი წარუდგინოს, თუ რისთვის სჭირდება თანხა. ბანკი განცხადებას განიხილავს, როგორც კომერციულ კრედიტს, შეაფასებს მის რისკებს, მომგებიანობას და გადაწყვეტილებას მიიღებს... თუ კი სასოფლო სამეურნეო საქმიანობაზე ბანკი კრედიტს გასცემს, ჩვენ ავტომატურად საპროცენტო განაკვეთის დიდ პროცენტს დავაფინანსებთ. კერძოდ, მეორე კომპონენტში მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი 17 პროცენტი იქნება. ჩვენ 9 პროცენტს დავაფინანსებთ. მსესხებლისთვის კი წლიური განაკვეთი 8 პროცენტზე მაღალი არ იქნება — უმეტეს შემთხვევაში, 6-7 პროცენტი. მესამე კომპონენტს რაც შეეხება, იქ ბანკებთან შეთანხმებით დადგინდა, რომ საპროცენტო განაკვეთი არაუმეტეს 15 პროცენტისა იქნება დოლარში. ჩვენ 12 პროცენტს დავაფინანსებთ. შესაბამისად, მსესხებლისთვის წლიური საპროცენტო განაკვეთი 3 პროცენტზე მაღალი არ იქნება, რაც საკმაოდ დაბალია. იმედი გვაქვს, რომ ეს ყველაფერი სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაზე კარგ გავლენას მოახდენს," — ამბობს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორი **გიორგი ჩხეიძე.**

„როდესაც რესურსი ძვირი და მოკლევადიანია, სოფლის მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სესხის აღება რთულია... ახლა სოფლის მეურნეობა დეკლარირებულია, როგორც რეალური პრიორიტეტი. ეს პროექტი გახლავთ ძალიან დიდი მნიშვნელობის ახალი ინიციატივა, რათა ყველა ბიზნესორიენტირებულ საწარმოს, თუ ფერმერს საშუალება ჰქონდეს, რა თქმა უნდა, კვალიფიციური ბიზნესგანაცხადის საფუძველზე, მისთვის საჭირო სესხი აიღოს. იმისთვის, რომ ყველას ინტერესის გათვალისწინება მაქსიმალურად მოხდეს, პროექტი 3 კომპონენტად არის გაყოფილი. ეს პროექტი სოფლის მეურნეობის სექტორისთვის ფინანსურ რესურსზე ხელმისაწვდომობას აადვილებს," — აცხადებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი **დავით კირვალიძე**.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში 11 ბანკი და ორი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჩაერთო. ესენია: „ბაზის ბანკი", ბანკი „კონსტანტა", ბანკი „რესპუბლიკა", ბანკი „ქართუ", „ვითიბი ბანკი", „თიბისი ბანკი", "კორსტანდარტ ბანკი", „კრედო", „კრისტალი", „ლიბერთი ბანკი", „პროკრედიტბანკი", „საქართველოს ბანკი" და „ხალიკ ბანკი".

„ვითიბი ბანკის" გენერალური დირექტორი არჩილ კონცელიძე აცხადებს, რომ თუ გასულ წლებში მათ საკრედიტო პორთფელში სოფლის მეურნეობის სექტორის დაკრედიტება 1-2 პროცენტის ფარგლებში ხდებოდა, 2013 წლის ბოლოსთვის ამ მაჩვენებლის მინიმუმ 5 პროცენტამდე ზრდას ვარაუდობენ.

„წლების მანძილზე საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორს ყურადღება არ ექცეოდა, მაშინ როცა სოფლის მეურნეობა ქართული ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა უნდა იყოს... პროექტი საშუალებას იძლევა, სოფლისთვის ხელმისაწვდომი გახდეს შეღავათიანი ფინანსური რესურსი. ამიტომაც ჩავერთეთ პროექტში და სამივე კომპონენტში ვიღებთ მონაწილეობას. თუ დღეს „ვითიბი ბანკის" პორთფელში აგროსესხებს 1-2 პროცენტი უკავია, ვფიქრობთ, წლის ბოლომდე ის მინიმუმ 5 პროცენტი იქნება... სოფლის მეურნეობის დაკრედიტების მიმართულებით წლების მანძილზე პრობლემა იყო რესურსის ღირებულება და ვადა. შესაბამისად, სახელმწიფო სწორედ იქ ჩაერთო, სადაც პრობლემა არსებობდა," — აცხადებს „ვითიბი ბანკის" გენერალური დირექტორი **არჩილ კონცელიძე**.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალი" პროექტის ერთ კომპონენტში მონაწილეობს, რომელიც მცირე ფერმერებისთვის 6 თვის ვადით 5000 ლარამდე უპროცენტო სასაქონლო განვადებით სარგებლობას გულისხმობს. „ბენეფიციარებს შეეძლებათ ჩვენს პარტნიორ ფერმერულ მაღაზიებში 5000 ლარის ფარგლებში მათთვის საჭირო პროდუქცია უპროცენტო განვადებით შეიძინონ. პროცედურა საკმაოდ მარტივია. ხაზი მინდა გავუსვა, რომ ყველაფერი პასუხისმგებლიანი დაკრედიტების ფარგლებში მოხდება, რაც გულისხმობს, რომ ბენეფიციარებმა იმ ღირებულების პროდუქცია მიიღონ, რამდენის გადახდის საშუალებაც შემოსავლებიდან გამომდინარე ექნებათ. დარწმუნებული ვართ, ეს პროექტი სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანებს დიდ შეღავათს გაუკეთებს," — ამბობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის „კრისტალის" მარკეტინგის მენეჯერი **თამარ ზამთარაძე**.

„თიბისი ბანკი" პროდუქტის მეორე და მესამე კომპონენტში უშუალოდ არის ჩართული. პირველ კომპონენტს კი ბანკი „კონსტანტა" ახორციელებს, რომლის ძირითადი აქციონერი სწორედ „თიბისი ბანკია". „ამ პროექტისთვის მოკლე ვადაში ჩვენ 5 მლნ ლარამდე თანხა გვაქვს გათვალისწინებული, წლის ბოლომდე კი თანხის მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება. ვფიქრობთ, პროექტისთვის წლის განმავლობაში 20 მლნ ლარამდე დაიხარჯება. ძირითად აქცენტს იმ კომპანიებზე გავაკეთებთ, რომლებიც ჩვენთან წლების მანძილზე თანამშრომლობდნენ. ნელ-ნელა კი იმ კომპანიებზეც გადავალთ, რომლებთან მუშაობის გამოცდილება ჯერ არ გვაქვს," — ამბობს „თიბისი ბანკის" გენერალური დირექტორი **ვახტანგ ბუცხრიკიძე.**

„სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის" ხელმძღვანელი **გიორგი მანაგაძე** არ აკონკრეტებს, ამ ეტაპზე თუ რა მოცულობის თანხაა აკუმულირებული ფონდში. მისი განმარტებით, კონკრეტული ციფრის დასახელება არასწორია, რადგანაც ის ყოველდღიურად იცვლება. გიორგი მანაგაძე აცხადებს, რომ „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისთვის" კონკრეტული თანხა გათვალისწინებული არ არის, რადგანაც წინასწარ უცნობია, თუ რა მოცულობის სესხებს გასცემენ ბანკები. ფონდის ხელმძღვანელი ამტკიცებს, რომ პროექტის განსახორციელებლად მათ ფინანსური პრობლემა არ შეექმნებათ... ამჟამად „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდში", ძირითადად, საქველმოქმედო ფონდი „ქართუსა" და „საერთაშორისო საქველმოქმედო სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდისგან" გადარიცხული თანხა, ასევე კერძო შემოწირულობებია თავმოყრილი.

თეატრის საერთაშორისო დღე მესხიშვილის თეატრში

„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

თეატრის საერთაშორისო დღე, 27 მარტი, ქართველმა თეატრალებმა ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში აღნიშნეს. საქართველოს თითქმის ყველა თეატრის მსახიობები ქუთაისში შეიკრიბნენ და ერთმანეთს თეატრის დღე მიულოცეს.

ღონისძიება მერიის კულტურის სამსახურის ხელშეწყობით გაიმართა.

ლევან როხვაძე, თეატრალური საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე: „ვულოცავ არამარტო საქართველოს, არამედ მთელს მსოფლიოს ამ დღეს. მიხარია, რომ ჩვენს ქალაქში აღნიშნეს თეატრალებმა ეს დღესასწაული. კარგად ვიცით, რამდენი კარგი სპექტაკლი და ღონისძიება გაიმართა გასული წლის მიწურულს და ამ წლის დასაწყისში. პატარ-პატარა მარგალიტებით ივსება თეატრის შემოქმედება და, საბოლოო ჯამში, დიდ ზეიმს ვიღებთ. მაყურებლები აფასებენ მსახიობების და რეჟისორების შრომას. მოხარული ვიქნები, თუ თეატრალური ფესტივალი კვლავ ჩატარდება იმერეთში. ჩვენი კულტურის სამსახური ამ მხრივ დიდ დახმარებას გვიწევს.“

ზურაბ ბერიკაშვილი, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი: „მიხარია, რომ დღეს ქუთაისში ვარ და თეატრის დღეს აქ აღვნიშნავ. მთელი ჩემი ოჯახისათვის ეს დღე დღესასწაულია, რადგან მთელი ცხოვრება სხვა არაფერი გვიკეთებია. სხვადასხვა რაიონებიდან არიან ჩამოსული მსახიობები, შევხვდით დიდი ხნის უნახავ მეგობრებს, მოვეფერეთ ერთმანეთს და ეს დღე მივულოცეთ. ყველა თეატრს ვუსურვებ ბევრ სპექტაკლს და ბევრ პრემიერას.“

აბელ სოსელია, მესხიშვილის თეატრის მსახიობი: „დღევანდელი დღე ზეიმია მსოფლიოს თეატრისათვის, ყველას, არამხოლოდ მსახიობს და რეჟისორს, უბრალო დაცვის წევრსაც კი ვულოცავ ამ დღეს, ვინაიდან ეს ყველასთვის მნიშვნელოვანია. თითქოს ათასი ჯილდო მიგვეღოს, ისე ვუზიარებთ ერთმანეთს სიხარულს და ბედნიერებას. რასაც მთელი წლის განმავლობაში ვაკეთებთ, ყველაფერი აქ ჯამდება და ფასდება.“

საღამოზე გახდა ცნობილი ჟიურის ის ხუთკაციანი შემადგენლობა, ზაზა სოფრომაძის თავმჯდომარეობით, რომელმაც გასული წლის შემოქმედების მიხედვით სხვადასხვა ნომინაციაში გამოავლინა გამარჯვებულები. მიზეზთა გამო არ გამოვლენილა საუკეთესო პიესა, ახალგაზრდა მამაკაცი მსახიობი და არ გაცემულა გრანპრი.

რაც შეეხება საუკეთესო რეცენზიისათვის დიპლომს, იგი მიიღო თეატრმცოდნე მერი გურგენიძემ. საუკეთესო თეორიული ნაშრომისათვის ნოდარ გურაბანიძე დაჯილდოვდა. საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებად ვახტანგ კახიძის კომპოზიცია დასახელდა. დიპლომები გაიცა საუკეთესო სცენოგრაფიული ნაშრომისათვისაც, ამ ნომინაციაში ანა კალატოზიშვილმა და მაია სხირტლაძემ გაიმარჯვეს. რაც შეეხება საუკეთესო ახალგაზრდა მსახიობი ქალის ნომინაციას, კომპეტენტურმა ჟიურიმ მსახიობ ქეთი სვანიძეს მიაკუთვნა.

ჯილდოს გარეშე არც მესხიშვილის თეატრის დასი დარჩენილა. საუკეთესო მამაკაც მსახიობად მესხიშვილელი დავით როინიშვილი დასახელდა. ამ გადაწყვეტილებას თეატრში მყოფი საზოგადოება ოვაციებით შეხვდა.

დავით როინიშვილი, მესხიშვილის თეატრის მსახიობი: „ეს ჯილდო ძალიან მოულოდნელი იყო ჩემთვის და როგორც ყველა შემოქმედი ადამიანისთვის, დიდი სტიმულია მომავალ საქმიანობაში. ჯილდო გადმომეცა კოტე აბაშიძის სპექტაკლისათვის, პირველ რიგში მადლობა ჩემს კოლეგებს, რომელთა გარეშედაც მე ამ ჯილდოს ვერ მივიღებდი. ვულოცავ ყველა გამარჯვებულს, ზოგადად — ყველა მსახიობს, თეატრის დღეს და შემოქმედებით წინსვლას ვუსურვებ მათ.“

საღამოს დასასრულს მსახიობებმა იმედი გამოთქვეს, რომ ჟიური მომავალ წელსაც გააგრძელებს თავის საქმიანობას და კიდევ არაერთ ნომინაციაში გამოავლენს გამარჯვებულს, რაც მსახიობების და თეატრში მომუშავე პერსონალის შემოქმედებით ნაყოფიერებას და პროფესიულ ინტერესს ბევრად გაზრდის.

ნესტან ჩაგელიშვილი

მეგა კრედიტი Mega Credit

გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას:

- უჯარიმო, სალომბარდო სესხები ოქროს უზრუნველყოფით 2,5%-დან
- იპოთეკური სესხები
- ფულადი გზავნილები
- სავალუტო ოპერაციები

ასევე თქვენ გაქვთ საშუალება, განათავსოთ თქვენი ფულადი სახსრები დეპოზიტის სახით, რომელზეც დაგერიცხებათ მაღალი საპროცენტო სარგებელი.

„მეგა კრედიტის“ ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ფილიალში დამატებით შეგიძლიათ ისარგებლოთ „ლიბერთი ბანკის“ მომსახურებით.

ქუთაისი, რუსთაველის 141 („პოპულში“); (0 431) 27 52 45
ქუთაისი, ჭავჭავაძის 55/2 („მაკდონალდსთან“); (0 431) 27 67 10

განცხადება

ცნობილი ტელეოპერატორის, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლის, რეზო ბუხსიანიძის შვილიშვილს — 1 წლისა და 6 თვის **მათე ბუხსიანიძეს**, რომელიც დაავადებულია ჰიდროცეფალიით, ესაჭიროება ძვირადღირებული ოპერაცია და მკურნალობა საზღვარგარეთ. გთხოვთ, გამოიჩინოთ გულისხმიერება და დაეხმაროთ პატარა მათეს.

„ლიბერთი ბანკი“, ანგარიშის ნომერი: GE58LB0111115901376000

რეზო ჭეიშვილი ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე

თანამედროვე ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელს, შოთა რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, ქუთაისის საპატიო მოქალაქეს რეზო ჭეიშვილს მალე დაბადების 80 წელი შეუსრულდება. ცოცხალი კლასიკოსის იუბილის აღნიშვნა ყველას დაასწრეს ქუთაისის მესამე საჯარო სკოლის IX² კლასის მოსწავლეებმა და მათმა ქართული ლიტერატურის მასწავლებელმა მარინე არაბიძე-აშვეთიამ. მეტიც — ბავშვებმა არამარტო შეისწავლეს სატირულ-გროტესკული შინაარსისა და თვითმყოფადი მწერლური მანერით შესრულებული მისი რჩეული ნაწარმოებები, არამედ — ქართული სიტყვის ოსტატი გაკვეთილზეც კი მოიწვიეს და პირისპირ ესაუბრნენ.

ყველაფერი ვ. როდონაიას რედაქციით გამოცემული IX კლასის სახელმძღვანელოთი დაიწყო. აქ რუბრიკას „სიბრძნე სიცილისა“ ეხმიანება სულხან-საბას იგავი „მოტირალი და მოცინარი“, აკაკის „კუდაბზიკეთი“ და რეზო ჭეიშვილის „ნობელი“. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სახელმძღვანელოში კურსის მხოლოდ 70 პროცენტია მოთავსებული, დანარჩენი — პედაგოგის თავისუფალ არჩევანზეა დამოკიდებული. როდესაც მარინე მასწავლებელი „ნობელს“ უხსნიდა თავის მოსწავლეებს, ბავშვებმა დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს ამ ნაწარმოებისა და მისი ავტორისადმი. სწორედ მაშინ ერთობლივად გადაწყვიტეს, ათდღიან პროექტად ექციათ რეზო ჭეიშვილის შემოქმედების გაცნობა, ბოლოს კი ეს პროცესი მწერალთან შეხვედრით დაეგვირგვინებინათ.

მოსწავლეებმა, ჯგუფურად დაინაწილეს მოსამზადებელი საკითხები, პედაგოგის მითითებით წაიკითხეს მწერლის არაერთი ნაწარმოები, ერთობლივად ნახეს მისი სცენარით გადაღებული ფილმებიც: „ცისფერი მთები“, „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „მზიანეთი“, მოამზადეს პოსტერები, რეზო ჭეიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტომასალა.

გაკვეთილი, რომლისთვისაც კლასი, პროექტის მიხედვით, 10 დღის მანძილზე ემზადებოდა, მაღალი დონის ლიტერატურულ შეხვედრად იქცა. 33 მოსწავლეს შესაძლებლობა მიეცა, არამარტო ესაუბრა საკუთარ ნაფიქრალსა და განცდილზე, არამედ — თვით ავტორს გასაუბრებოდა მისთვის საინტერესო საკითხის შესახებ.

გამოჩენილმა მწერალმა ჩვეული თავმდაბლობით და სიყვარულით მოუსმინა ახალგაზრდა მკითხველებს, უპასუხა მათ არაერთ შეკითხვას და თავის შემოქმედებით ლაბორატორიაშიც შეახედა ისინი. ბავშვებმა და გაკვეთილზე დამსწრე პედაგოგებმა, მშობლებმა მისგან არაერთი საგულისხმო ამბავი და თვალსაზრისი მოისმინეს.

„ყველაზე მეტად მაწუხებს გულგრილობა, რომელმაც მიიღო გლობალური მასშტაბები,“ — უთხრა რეზო ჭეიშვილმა ახალგაზრდა თაობას, რომელმაც უკვე იცის, რა ფასი და ძალა აქვს მწერლის კალამს.

ნანული ქვიშარელი

სოფელ ხევში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ დავით ჯანდიერმა და სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან სამადაშვილმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხევში 29 მარტს საზოგადოებრივი ცენტრი გახსნეს.

მოსახლეობას ახლა უკვე მიეცემა საშუალება, სოფლიდან გაუსვლელად მიიღონ პასპორტები, პირადობის, ბინადრობის და სხვა საჭირო მოწმობები, სოციალური დახმარებები, მოახდინონ მიწის რეგისტრაცია, გადაიხადონ კომუნალური გადასახადები. საზოგადოებრივი ცენტრი მათთვის სრულ მომსახურებას კომფორტულ გარემოში უზრუნველყოფს.

გარდა ამისა, საზოგადოებრივ ცენტრებში ხელმისაწვდომია სატელეკომუნიკაციო, საბანკო და სადაზღვევო მომსახურება; მოსახლეობა სარგებლობს უფასო ინტერნეტითა და შეხვედრების ოთახით, სადაც შესძლებს მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია სოფლის მეურნეობის, სახელმწიფო დახმარების პროგრამებსა და სხვა საკითხებზე.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო აქტიურად მუშაობს თანამშრომლობის მსურველ უწყებებთან როგორც ახალი სერვისების იდენტიფიცირების და დანერგვის, ასევე არსებული მომსახურებების გაუმჯობესების კუთხით, რაც, საბოლოოდ, უფრო ხელმისაწვდომს და კომფორტულს გახდის მოქალაქისთვის სახელმწიფო სერვისებს.

განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, საზოგადოებრივი ცენტრები გაიხსნა ასევე გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანში, ხაშურის რაიონის სოფელ გომსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალაში, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალადიდში. თითოეულ ცენტრში ათ-ათი ადგილობრივი მკვიდრი დასაქმდა.

აღსანიშნავია, რომ თითოეული ასეთი ცენტრ, საშუალოდ, უკვე მოემსახურა 7000 მოქალაქეს. სამსახურების სერვისებით დღეში, დაახლოებით, 50-70 ადამიანი სარგებლობს. ყველაზე მეტად მოქალაქეები საჯარო რეესტრის, სერვისების განვითარებისა და სოციალური მომსახურების სააგენტოების სერვისებით სარგებლობენ.

განვითარების სააგენტოს ახალი ინიციატივა ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვას ითვალისწინებს. ანალოგიური ცენტრები უახლოეს მომავალში, საქართველოს სხვა სოფლებშიც გაიხსნება.

ბიზნესთან ჩასაფრებული სახელმწიფო

„სწორი საგადასახადო, ფისკალური, საინვესტიციო პოლიტიკა — ეს არის ის, რაც აუცილებელია დღეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის"

საერთაშორისო ფინანსური და საინვესტიციო კონსულტანტი აზია-აფრიკისა და ამერიკის ქვეყნებში ირაკლი ბერძენაძე ეკონომიკისა და ინვესტირების საკითხებზე ესაუბრა გაზეთ „პოსტსკრიპტუმს".

ირაკლი ბერძენაძე

— ბატონო ირაკლი, თქვენ ძირითადად არაბულენოვან სამყაროში მუშაობთ ეკონომიკის საკითხებზე. თვისობრივად განსხვავდება ეს ქვეყნები დანარჩენისაგან?

— ძირითადად 15 ქვეყანაში ვმუშაობ, როგორც არაბულ ქვეყნებში, ასევე აზიის, აფრიკის და ამერიკის კონტინენტზე. თამამად შეიძლება ვთქვა, რომ მათ შორის განსხვავება საკმაოდ დიდია — როგორც ქვეყნის ეკონომიკის თვალსაზრისით, ასევე ყურადღებას გავამახვილებდი ბიზნესის კუთხით. ეს არის სრულიად ერთმანეთისგან განსხვავებული სამყარო. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მსოფლიო ეკონომიკა დაფუძნებულია დიდ რვიანზე, სადაც აშშ არის წამყვანი რგოლი (გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიო ფინანსური ბაზრის 25%-ზე მეტს სწორედ აშშ ფლობს), მაინც შეიძლება ითქვას, რომ დღეს არაბულ სამყაროს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება რესურსების კუთხით.

ამასთანავე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ დღეს მსოფლიოში არაბული ინვესტიციის ჯამური ოდენობა 7 ტრილიონ დოლარზე მეტია, აქედან 1/3 აშშ-ზე მოდის. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თითქმის 2 ტრილიონი დოლარით გაიზარდა არაბული ქვეყნების ინვესტიციის ოდენობა მსოფლიოში, რაც გვაჩვენებს, რაოდენ მნიშვნელოვან როლს თამაშობს არაბული სამყარო მსოფლიო ეკონომიკაში. მიუხედავად ამისა, სწორედ აღნიშნული ინვესტიციების გარეშე მსოფლიოს ეკონომიკის ზრდა თითქმის შეუძლებელია, რადგანაც ნავთობი არის ის რესურსი, რაზეც არის დამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკა და ყოველდღიური ცხოვრება. დიახ, არსებობს ქვეყნებს შორის მჭიდრო კავშირები, მაგრამ განსხვავებაც საკმაოდ დიდია. უპირველესად, მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ დღეს მსოფლიო ხშირად განიცდის მწვავე ეკონომიკურ კრიზისებს, რომელიც უკანასკნელ წლებში უფრო მასობრივ ხასიათს იღებს. ამ კუთხით არაბული სამყარო დაზღვეული არის ყოველგვარი რისკისგან და თითქმის არც აისახება ეკონომიკური კრიზისები აღნიშნულზე (თუ არ ჩავთვლით კრიზისს უძრავი ქონების ბაზარზე დუბაიში), ამის მთავარი მიზეზი კი არის ის, რომ თუ აშშ-ს ვალუტა გამყარებული არის ოქროთი, არაბული სამყაროს სავალუტო სისტემა გამყარებული არის ბუნებრივი რესურსით(ნავთობით), და გამომდინარე იქიდან, რომ ნავთობის მწარმოებლები არიან თვით არაბული ქვეყნები და ეს ბიზნესი არის სახელმწიფოს ხელში, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ყოველგვარ კრიზისს თავისუფლად ლახავენ, არ აისახება მათ ეკონომიკაზე და განსაკუთრებით მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

დღეს მსოფლიო უკვე ბიზნესზეა დამყარებული, იგი განსაზღვრავს უკვე ქვეყნებს შორის ურთიერთობას და ამიტომაც, მიუხედავად განსხვავებისა, მაინც ვთვლი, რომ ბიზნესის კუთხით არაბული სამყაროსა და დანარჩენი მსოფლიო ქვეყნების ინტეგრაციის პროცესი დაწყებულია. ეს გამოიხატება კაპიტალის სწრაფი გადადინებით სხვადასხვა კონტინენტზე.

— ქართული ეკონომიკის ანალიზი ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გამოჩნდეს ხარვეზები და მათი გადაჭრის გზები. რას გვეტყოდით ამ საკითხზე?

— დღეს ჩვენი ეკონომიკა სავალალო მდგომარეობაშია. ეკონომიკა რომ გვქონდეს, უნდა იყოს წარმოება, უნდა იქმნებოდეს პროდუქცია, უნდა იზრდებოდეს მშპ და ყოველივე ეს უნდა აისახებოდეს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, უპირველეს ყოვლისა — დაქმებაზე. ამ კუთხით საქართველოში სავალალო მდგომარეობაა.

სამწუხარო არის ის, რომ საქართველოში თვითდასაქმებასაც დასაქმებად აღრიცხავენ, რაც არასწორი მიდგომაა. ხარვეზები ძალიან ბევრია თითოეულ სექტორში, მიდგომა საკმაოდ ცუდი იყო წლების განმავლობაში და, სამწუხაროდ, დღესაც აქტიურად გრძელდება ასე, უბრალოდ, რაღაც კუთხით სახე იცვალა და ისეთივე დაუნდობელი არ არის სისტემა, როგორიც იყო სააკაშვილის მმართველობის პერიოდში.

ზოგადად ეკონომიკის ხარვეზებზე თუ დავიწყებთ საუბარს, მაშინ დავიწყოთ ფინანსური სისტემით, რაზეც დგას ქვეყნის ეკონომიკა. ამ კუთხით შემიძლია ვთქვა, რომ მიუხედავად იმისა, ექსპერტები და ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად საუბრობენ საქართველოს მყარ ფინანსურ სისტემაზე, ამას არ ვეთანხმები, რადგან მე არ ვიცი, რა კუთხით განსაზღვრავენ ფინანსური სისტემის მდგრადობას? როდესაც საბანკო სექტორი ტვირთად აწევს ბიზნესს და მოსახლეობას და ორიენტირებული არის ბიზნესის გაკოტრებაზე, ამის შემდგომ შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური სისტემა არის მყარი? არანაირად არ შეიძლება ამის თქმა, ეს არ არის სიმყარე, ეს არის ქმედება, რომელიც სცილდება ბიზნესკულტურას და ბიზნესის განვითარებას, შეიძლება ითქვას, საბანკო სფეროს განვითარებასაც კი, რადგან ბანკის ზურგზე დგას ქვეყნის ეკონომიკა. ეს არის ყოველივე საწყისი იმ პრობლემებისა, რომლის მოგვარება, სამწუხაროდ, ვერცერთმა ხელისუფლებამ მოახერხა. იმედია, დღევანდელი ხელისუფლება შეეცდება მის მოგვარებას, მაგრამ ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ამის ნიშნები ჯერ არ ჩანს. ალბათ, მიზეზი შეიძლება იყოს შიში იმისა, რომ აღნიშნული ქმედება არ ჩაითვალოს, როგორც საბანკო სექტორზე ზეწოლა. მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან სახელმწიფოს ეროვნული ბანკის მეშვეობით აქვს ყველა ბერკეტი, რომ მოახდინონ ირიბად, კანონის სრული დაცვით ამ ყველაფრის რეგულირება, და მიეცეს ბანკებს ის ფუნქცია, რაც ცივილიზებულ ქვეყნებში აკისრიათ და ყოველივე ეს არ დააწვეს მოსახლეობას კისერზე. დღეს არ არის ოჯახი, რომელსაც არ აქვს ბანკის ვალი. ჩვენ ვუყურებთ აშშ-ს და ვამბობთ, რომ იქ ყველა ბანკის ვალებშია, მაგრამ რატომ არ კითხულობს არავინ, იქ როგორი საბანკო სისტემაა? რა ვადაზეა გათვლილი? ასევე რატომ არავინ კითხულობს, თუ როგორ ხდება აშშ-ში საბანკო დავალიანების ამოღება? იმ მეთოდებით ხდება, როგორი მეთოდებითაც საქართველოში ახორციელებს აღსრულების ბიურო? არანაირად.

არასწორი საგადასახადო პოლიტიკა, არანაირი საინვესტიციო და ეკონომიკური მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგია, არანაირი პრიორიტეტული დარგები, რომლებიც იყო და არის ქართული ეკონომიკის ის ძირითადი ხარვეზები, რომელიც, საერთო ჯამში, ქმნის პრობლემებს ქვეყნისთვის. თითოეულის დახასიათება საკმაოდ შორს წაგვიყვანს, მაგრამ, მაგალითად, ყველაზე მნიშვნელოვანი რაც არის, ესაა არასწორი საგადასახადო პოლიტიკა.

დღეს პროგრესული საგადასახადო სისტემა თითქმის უმრავლეს ქვეყანაში არის, ამ კუთხით კი საქართველოში ძვრა არ არის. მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, საშემოსავლო გადასახადი შეიძლება, ჯამში, აზიისა და ევროპის ბევრ ქვეყანაზე დაბალია, ინდივიდუალურად თუ მივუდგებით, საკმაოდ მაღალია, რადგან არ შეიძლება ადამიანი, რომელსაც წელიწადში 5-6 ათასი ლარი აქვს შემოსავალი, იმას იხდიდეს, რასაც იხდის ადამიანი, რომელიც 10-20 ათასი ან მეტი აქვს შემოსავალი. საჭიროა, საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს პროგრესული საგადასახადო სისტემის მოდელი (საშემოსავლო გადასახადის კუთხით), რაც შვება იქნება მოქალაქეებისთვის. ასეთი სისტემა თითქმის ყველა ქვეყანაშია და დაყოფილია პროცენტული მაჩვენებლებით.

ამასთანავე მინდა შევეხო ყველაზე დიდ და ჩემთვის, უბრალოდ, გაუგებარ სიტუაციას, რომელიც არის დღეს — ეს არის მოგების გადასახადი. მე მაინტერესებს პირადად, როგორც საერთაშორისო კონსულტანტს, მოგების გადასახადის ფუნქცია რა არის? ეს გადასახადი თითქმის არსად აღარ არის, სადაც შედის ინვესტიციები, სადაც ბიზნესი ფართოვდება და ვითარდება ეკონომიკა. ამ კუთხით, სამწუხაროდ, არც დღევანდელმა ხელისუფლებამ არაფერი მოიმოქმედა ჯერჯერობით. მოგების გადასახადი არის ზედმეტი ტვირთი ბიზნესზე, იგი აძლევს სტიმულს ბიზნესკომპანიას, რომ აწარმოოს შავი ბუღალტერია და პირდაპირ უარყოფითი ზეგავლენას ახდენს, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. ამიტომ ამ კუთხით სახელმწიფო ჩასაფრებულია ბიზნესთან და თავისი ხელით აძლევს შანსს, რომ კომპანიამ შავი ბუღალტერია აწარმოოს. ეს განსაკუთრებით ეხება მცირე-საშუალო ბიზნესს, სადაც წლიური ბრუნვა და მარჟა, საკმაოდ დაბალია განსხვავებით დიდი ბიზნესისგან. ამიტომ ვფიქრობ, რომ დღევანდელი საგადასახადო სისტემის მთავარი პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, არის არაჰუმანური საგადასახადო სისტემა, რომელიც არ არის მორგებული მოსახლეობის, ბიზნესისა და, უმთავრესად, ქვეყნის ინტერესებზე. ასევე მინდა აღვნიშნო არაპროფესიონალიზმი საგადასახადო სისტემაში, ძირითადად სადამსჯელო ღონისძიებების გატარებით არიან დაკავებულები. ამით ხდება მათი, როგორც საგადასახადო მუშაკის, როლის დაკნინება. ეს ყველაფერი არის ძალიან დიდი პრობლემა ჩვენი ქვეყნისა და თუ ეს პრობლემა არ მოგვარდა, მაშინ ძალიან ცუდ შედეგებს მივიღებთ, არათუ ვინმე არ დაინტერესდება საქართველოში საქმის წარმოებით, არამედ მეტიც — ქვეყნის განვითარების შანსსაც დავკარგავთ.

— ქართული მენტალიტეტი, რომელიც ჯერ ისევ საბჭოურია (ხშირად — პროლეტარულიც), რამდენად უშლის ხელს ეკონომიკურ წინსვლას?

— მენტალიტეტი ყველა ერს აქვს თავისი დამახასიათებელი თვისებებით, მაგრამ როდესაც ქვეყანაში არის ჩამოყალიბებული ბიზნესკულტურა და, უმთავრესად, კანონსა და სამართლიანობაზე დამყარებული სისტემა, ამ შემთხვევაში მის ეკონომიკურ წინსვლას არანაირი წინაღობა არ ექმნება. უმთავრესი რაც არის, ესაა კერძო საკუთრება, რომელიც საქართველოში უკანასკნელ პერიოდში უბრალო ტერმინად გამოიყენება.

რაც შეეხება კერძო საკუთრების დაცულობას, საუბარი ზედმეტია. წარსულმა რამდენიმე წელში წარმოშობილ პრობლემას ამ კუთხით დღევანდელმა რეალობამაც ვერაფერი უშველა, რადგან, სამწუხაროდ, ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ამ კუთხით თუ არ გადაიდგა რაიმე ქმედითი ნაბიჯი, საეჭვოა, რომ საქართველოს იმიჯზე ეს ყველაფერი კარგად აისახოს.

ზოგადად, ჩვენი ხალხი საკმაოდ ჭკვიანია და შემიძლია გითხრათ, რომ ნამდვილად შეიძლება საქართველოს გარდაქმნა ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნად, მაგრამ მთავარია, მოხდეს კონკრეტული ორიენტირის მიცემა ამ ყველაფრისთვის. დღეს რა ეკონომიკური სისტემაც გვაქვს, ეს, სამწუხაროდ, არც სოციალისტურია და არც კაპიტალისტური, ეს არის რაღაც წარმოუდგენელი სისტემა, რომელიც ქვეყანას პრობლემის მეტს არაფერს მოუტანს. ამიტომ იმის თქმა, რომ მენტალიტეტი შეუშლის ხელს ეკონომიკურ განვითარებას, ეს არის გაზვიადებული. ხალხს საუკეთესო სისტემას რასაც შესთავაზებს ხელისუფლება, სადაც დაცული იქნება მათი საკუთრება და უფლებები, იმ სისტემის განვითარებისა და წინსვლაზე იგი თავდაუზოგავად იმუშავებს, მაგრამ მთავარი არის, კანონი იყოს უზენაესი და არ იყოს კანონი მხოლოდ ხალხისთვის — როგორც ხდებოდა და, ზოგიერთ შემთხვევაში, დღესაც ხდება, სამწუხაროდ.

— მნიშვნელოვანია საინვესტიციო პოლიტიკა. რა დადებითი ან უარყოფითი მხარეები აქვს საქართველოში საინვესტიციო მხარეს?

— ნამდვილად, ინვესტიცია არის ის, რაც დღეს საქართველოს ეკონომიკას გამოიყვანს იმ კრიზისიდან, რომელმაც შეიძლება საბოლოოდ კოლაფსში ჩააგდოს ეკონომიკა. მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ ინვესტიცია აქ უნდა განვიხილოთ წმინდა ინვესტიციად და არა — იმ ინვესტიციებად, რაც დღეს ქვეყანაში აქვთ. რეალურად, დღეს ქვეყანას არანაირი საინვესტიციო პოლიტიკა არ გააჩნია, არ არის ის, რითაც ქვეყანა დაუმტკიცებს ინვესტორს, თუ რატომ უნდა მოახდინოს ინვესტიცია ქვეყანაში და რამდენად იქნება დაცული მისი ინვესტიცია. ბიზნესზე ზეწოლასა და კერძო საკუთრების ხელყოფაზე ბოლო წლების მაგალითებმა საერთოდ აღნიშნული საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დასვა. როგორ ფიქრობთ, ვინ შემოვა საქართველოში, როდესაც ქვეყანა არის საკმაოდ მცირე ბაზრის მქონე? როდესაც მოუქნელი საგადასახადო სისტემა და სახელმწიფო წარმოდგენილი იყო წლების მანძილზე მოძალადედ? და ამ ძალადობის შემსრულებელი კადრები ისევ მუშაობენ თავიანთ ადგილას? როგორ ფიქრობთ, ამ პირობებში ინვესტორი დაინტერესდება საქართველოთი? არანაირად. ვინ შემოდის დღეს საქართველოში და ვინ დებს ინვესტიციებს? მითხარით რომელიმე ამერიკული კომპანია, რომელიც საქართველოში აწარმოებს ბიზნესს და ქმნის პროდუქციას. ასეთს, ფაქტობრივად, ვერ ნახავთ. საინვესტიციო პოლიტიკა არ არის მარტივი საქმე, ამას წლების მუშაობა სჭირდება და ერთმანეთზე გადაჯაჭვულია როგორც ეკონომიკური, ასევე სამართლებრივი საკითხები. აღნიშნულს უნდა ქმნიდნენ პროფესიონალი ადამიანები და უნდა ხდებოდეს ყველა ნიუანსის გათვლა, ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომელიც ინვესტორებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია. დღეს ამ კუთხით არანაირი ძვრა არ არის. ის რომ 1 საათში შეიძლება კომპანიის დარეგისტრირება, არანაირი წინსვლა არ არის ქვეყნისთვის, ეს ვერ მისცემს ინვესტორს გარანტიას, რომ მისი ბიზნესი იქნება ქვეყანაში დაცული. ამიტომ პრობლემა არის ზოგადად საინვესტიციო პოლიტიკაში, რომელიც ხელისუფლებას არც დღეს გაეჩნია, მასში მე, პირადად, გავაერთიანებდი საგადასახადო, ფისკალურ და სხვა ძირითად ფაქტორებს, რომელთა გათვალისწინებით უნდა მოხდეს სწორი და მსხვილ ინვესტიციებზე გათვლილი პოლიტიკის შემუშავება.

— როგორც პროფესიონალი, რა რეკომენდაციებს მისცემდით საქართველოს ხელისუფლებას ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებში?

— ჩემი ერთადერთი რეკომენდაცია იქნება, მაქსიმალურად მოახდინონ შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის წარმოება, მაქსიმალურად უნდა მოხდეს მოკლე პერიოდში ეკონომიკური რეფორმების გატარება და მისი სრული ლიბერალიზაცია. უნდა მოხდეს ანტომონოპოლიური საქმიანობის ეფექტური წარმოება და მონოპოლიების დაშლა. სამწუხაროდ, დღეს მონოპოლიები ისევ განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას, არანაირი ნიშან-წყალი არ არსებობს, რომ მონოპოლიების დაშლის პროცესი დაიწყო. აუცილებლად უნდა მოხდეს მცირე-საშუალო ბიზნესის სტიმულირება სახელმწიფოს მხრიდან და, რაც მთავარია, სტარტაპ ბიზნესის ხელშეწყობა, რომელმაც უნდა წარმოშვას ახალი ბიზნესი და ახალი დასაქმება. სწორი საგადასახადო, ფისკალური, საინვესტიციო პოლიტიკა — ეს არის ის, რაც აუცილებელია დღეს და, უპირველესად, ხელისუფლებამ უნდა მოახდინოს ორიენტირის აღება აღნიშნულ საკითხზე, რათაც უნდა შემცირდეს უმუშევრობა და გაიზარდოს ქვეყანაში რეალური ინვესტიციების შემოდინება და არა იმ ინვესტიციების შემოდინება, როგორიც არის ინდური, ჩინური, თურქული ინვესტიციების კუთხით, რომელმაც არანაირი სარგებელი ქვეყნისთვის არ შეიძლება მოიტანოს.

პირადად შემიძლია ვურჩიო ხელისუფლებას ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ვეცადოთ, შემოვიყვანოთ იაპონური და ამერიკული კაპიტალი ქვეყანაში და, დამერწმუნეთ, ერთ წელიწადში ჩვენ ვიხილავთ საინვესტიციო ბუმს საქართველოში.

ესაუბრა

როლანდ ხოჯანაშვილი

ქვირის ჰოროსკოპი

♈ ვერძი: ყოფილი საქმიანი პარტნიორი კარგ სამსახურს გაგიწევთ და მოგიმატებთ ფასს ხელმძღვანელობის თვალში. ზედმეტად მეოცნებე ნუ იქნებით, შანსი დაუყონებლივ გამოიყენეთ.

♉ კურო: დაძაბეთ ყურადღება და შეეცადეთ გამოიყენოთ ამ კვირაში მიღებული ინფორმაცია თქვენს სასარგებლოდ.

♊ ტყუპები: შემოქმედებითად მიუდექით და შეეცადეთ იდეები, რომლებიც გეწვევათ არ უგულველყოთ. პროფესიული და საქმიანი საკითხების არატრადიციული მეთოდით გადაწყვიტეთ, ეს დაგეხმარებათ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

♋ კირჩხიბი: არ გააფორმოთ ხელშეკრულებები, ახალი ინიციატივების დრო მალე დადგება, შეეცადეთ მოითმინოთ.

♌ ლომი: ქედმაღლობა ვერ დაგეხმარებათ საქმესა თუ ადამიანებთან ურთიერთობაში. შეეცადეთ თქვენს თავს გვერდიდან შეხედოთ და გათავისუფლდეთ ძველი ჩვევებისაგან.

♍ ქალწული: პრაქტიკულად შეუძლებელია რაიმეს მიღება ზეწოლის და კონკურენტული ბრძოლის გარეშე. ინიციატივის გამოჩენისას, სწრაფად უნდა იმოქმედოთ, საფრთხეებზე ფიქრის დრო არ გექნებათ.

♎ სასწორი: საკუთარი გადაწყვეტილების პრაქტიკულად რეალიზებამდე, ჯერ პარტნიორთან ურთიერთობის გარკვევა, აქტიური საქმიანობა მოგიწევთ. სიჩქარე საჭირო არ არის.

♏ მორიელი: ნებისმიერი სიტუაციიდან მოძებნით გამოსავალს. მოსალოდნელია აქტიური საქმიანობა. ნუ გაწელავთ პირად და სამსახურებრივ უთანხმოებას დიდხანს, უფრო ოპერატიული იყავით.

♐ მშვილდოსანი: დაზღვეული არ ხართ დავისა და კამათისგან. თუმცა, კვირის ბოლოს სასიამოვნო სიურპრიზი გელოდებათ, რაც თქვენს ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

♑ თხის რქა: ოჯახურ ცხოვრებაში მოსალოდნელია საბედისწერო მოვლენები. მოგიწევთ საკუთარი გავლენის შენარჩუნება ან გაფართოება ბრძოლით.

♒ მერწყული: უარი თქვით სასწრაფო და დაძაბულ საქმიანობაზე. ყოველდღიური საქმეები კი შეასრულეთ ინდივიდუალურ რიტმში, საკმაოდ კომფორტულ და მშვიდ ვითარებაში.

♓ თევზები: თქვენი მოქმედებები განუყოფელი იქნება პარტნიორების ინიციატივისგან. ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნება კვირის მეორე ნახევარში. დაწყებული ბობოქარი მოვლენები გამოიწვევს ფსიქოლოგიურ და მატერიალურ სტაბილურობას.

7	5	6	3	1	4	2	8	9
3	1	4	8	9	2	7	6	5
2	8	9	7	6	5	4	3	1
6	2	1	5	4	3	9	7	8
9	4	5	6	7	8	1	2	3
8	7	3	1	2	9	5	4	6
1	9	2	4	3	6	8	5	7
4	3	8	9	5	7	6	1	2
5	6	7	2	8	1	3	9	4

მწვანე აფთიაქი

ჯადვარი, გუგულის კაბა

ჯადვარი (გუგულის კაბა) ჯადვარისებრთა ოჯახიდანაა. ჯადვარი მრავალწლიანი, 20-60 სმ სიმაღლის მცენარეა.

ყვავის მაის-ივნისში. უფრო ხშირად გვხვდება ტყეებსა (ნაძვნარები, სოჭნარები, წიფლნარები და სხვა) და ბუჩქნარებში, აგრეთვე, მდელოებზე და იშვიათად — დაჭაობებულ ადგილებში. მედიცინაში ჯადვარის ახალი ტუბერაკები გამოიყენება.

ტუბერაკების შეგროვებისას საჭიროა დაკვირვება. ადამიანის ხელის მტევანის მსგავსი ორი ტუბერაკი ჯადვარის ღეროს ძირშია, მიწაში, ერთი მათგანი მუქნაცრისფერი და მოშვებულია. ეს გასული წლის ტუბერაკია, გამოფიტული და უვარგისია. მეორე კი ღია მოყვითალო-მოთეთრო და გაჭედილია, ესაა მიმდინარე წლის ახალი, სამკურნალოდ ვარგისი ტუბერაკი.

ჯადვარის გამშრალი ძირბოლქვისაგან დამზადებულ პრეპარატებს „სალეპს" ეძახიან და იყენებენ როგორც შიგნით მისაღებ შემომგარსველ საშუალებას, უმთავრესად ბავშვების ნაწლავთა კატარის შემთხვევაში, აგრეთვე ზოგიერთი მოწამვლის დროს. „სალეპს" უნიშნავენ დასალევად ან ოყნის სახით.

ჯადვარის ტუბერაკს იყენებენ: კოლიტის, გასტრიტის და გასტრიტული ვარიანტის წყულოვანი დაავადების დროს, ზედა სასუნთქი გზების კატარის და პირის ღრუს ანთებითი დაავადების სამკურნალოდ. გამოიყენება „სალეპის ლორწო", რომელსაც შემდეგნაირად ამზადებენ, ჯადვარის ტუბერაკებს ფხვნიან, ასხამენ ცხელ წყალს შეფარდებით: 2 გ ტუბერაკების ფხვნილი 200 მლ მდუღარე წყალზე, თქვეფენ კოვზით 10-15 წუთის განმავლობაში. სვამენ თითო სუფრის კოვზს ჭამის წინ. იკეთებენ ოყნის სახითაც — 50 მლ ერთი ოყნისათვის.

ხალხურ მედიცინაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ჯადვარი, როგორც ენერგიის აღმდგენი საშუალება. ირანული წყაროების მიხედვით, სხვა საჭმლის უქონლობისას დღეღამეში მოზრდილი ადამიანისათვის საკმაოა 40 გ ჯადვარის ტუბერაკის ფხვნილი ემულსიის სახით წყალზე მომზადებული. კიდევ უკეთესია, თუ ემულსია რძით მომზადდება. ირანელთა რეკომენდაციით, კარგია, სათადარიგოდ ვიქონიოთ ჯადვარის ტუბერაკები შორეული გადასვლების დროს. თათარი მხედრები ყოველთვის თან ატარებდნენ ჯადვარის ტუბერაკებს საკვების უკმარისობის შემთხვევისათვის. ჯადვარი ძალ-ღონის აღმდგენი მართლაც კარგი საშუალებაა.

სვამენ ნახარშს — 3,0-10,0 გ ტუბერაკები 180 გ წყალზე — კუჭაშლილობის, მსხვილი ნაწლავის კოლიტის და საშარდე ბუშტის კატარის სამკურნალოდ. ნახარშს შემდეგნაირად ამზადებენ: საჭირო დოზის ფხვნილს 10 ნაწილ ანადუღარ ცივ წყალში ათქვეფენ, შემდეგ უმატებენ 90 ნაწილ მდუღარე წყალს და ხელახლა თქვეფენ მანამდე, ვიდრე არ მიიღება სქელი, ერთფეროვანი, უფერული და რამდენადმე გამჭვირვალე სითხე (ლორწო), წყლის მაგივრად შესაძლოა რძის გამოყენება, რაც დიდად ამაღლებს ჯადვარის ყუათიანობას. ჯადვარის წყლიან ნადღვებს წარმატებით იყენებენ ოყნისათვის კუჭაშლილობის, მათ რიცხვში დიზენტერიის დროს: ჯადვარის ემულსიას უმატებენ სელის თესლის ნახარშს (1 ჩაის კოვზი სელის თესლი 1 ჭიქა მდუღარე წყალზე). ზაფხულში ბავშვების კუჭაშლილობისას იყენებენ ჯადვარს შემდეგი დოზით: 120 გ ჯადვარის ტუბერაკების ფხვნილი და 86 გრადუსიანი სპირტი, მხოლოდ 0,5 გრამამდე ყოველ ორ საათში ჩაის კოვზით. ჯადვარი აუცილებელი საშუალებაა მოხუცების მოსამაგრებლად, ტუბერკულოზიანების, მძიმე დაავადებაგადატანილი ადამიანების, ხანგრძლივი სისხლდენით დასუსტებულთა (მათ შორის ბუასილიანთა) მოსამაგრებლად.

თამუნა ასკურავა



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

თამბაქოზე უარის თქმა სიცოცხლეს ათი წლით ახანგრძლივებს

ოქსფორდელი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ თუ მწეველი ქალი 30 წლამდე დაანებებს თავს სიგარეტს, თავიდან აიცილებს ნაადრევ სიკვდილს. 1996-2001 წლებში ჩატარებულმა გამოკითხვამ, რომელშიც 1,3 მლნ ქალი მონაწილეობდა, ცხადყო, რომ თამბაქოს მიტოვებამ ასიდან 97 შემთხვევაში შეიძლება თავიდან აგვაცილოს ნაადრევი სიკვდილი.

ეს დასკვნა შეესაბამება მამაკაცებში ჩატარებული ანალოგიური გამოკვლევის შედეგებს. გამოკვლევის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, პროფესორ რიჩარდ პეტოს თქმით, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში 1940-იან წლებში დაბადებული ქალები პირველი აქტიურად მწეველი თაობაა, რომელზე დაკვირვებითაც დღეს შეგვიძლია ვიმსჯელოთ თამბაქოს ხანგრძლივი მოხმარების ეფექტებზე და დავადგინოთ მისი მიტოვების შორეული შედეგები.

ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ ქალის ორგანიზმზე თამბაქო უფრო მავნე გავლენას ახდენს, ვიდრე აქამდე ეგონათ. მაგალითად, მწეველი ქალები (იგულისხმება ის, ვინც მთელი სიცოცხლე ეწეოდა) არამწეველებზე ათი წლით ადრე იხოცებიან. თამბაქოს წევის რამდენიმეწლიანი გამოცდილებაც კი ზრდის ნაადრევი სიკვდილის რისკს.

mkurnali.ge

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ახლა უკვე პარლამენტარი **გოგი ქავთარაძე** პირველად **ლუიზა ლაკერბაიამ** ამოიცნო, შემდეგ ნანა ფანცხავამ და სულიკო ფუტკარაძემ.

რას დაარქმევდით?

ეკა ბესელია

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

გიგა ბოკერია

პოლიტიკური კვაზიმოდო.

შაქრო გაბელაშვილი

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

კროსვორდი

თარაზულად: 3. აფრიკის უდიდესი ქვეყანა მოსახლეობით. 5. ხორთუმიანი ცხოველი. 6. ბოლოსწინა ბერძნული ასო. 8. გაფრთხილება ძიუდოში. 9. მცენარეთა სამყარო. 11. მისი დედაქალაქია კინგზტონი.

შვეულად: 1. პიპინიას ვაჟი. 2. დიდი ჩაქუჩი. 3. მზიდან მერვე პლანეტა. 4. მისი დედაქალაქია ვენა. 7.... პრესლი. 10. სირაქლემას სახეობა.



წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. არიადნე. 5. მავრი. 6. აგა. 8. უთო. 9. კროლი. 11. ალფარიდი.
შვეულად: 1. ნიორი. 2. ადა. 3. ამალთეა. 4. ენგელსი. 7. ორერა. 10. იფი.

სუდოკუ

ჩასვით რიცხვები ერთიდან ცხრამდე კვადრატის 9X9 უჯრედებში ისე, რომ თითოეულ რიგში, სვეტში და ცალკე გამოყოფილ კვადრატში 3X3 ყველა რიცხვი იყოს სხვადასხვა და არც ერთი არ გამეორდეს!

			1	9				4
				5		1	8	2
1	6	4						
					4	8	9	5
		7	3		5	2		
2	8	5	6					
						7	3	9
9	4	8		6				
5				2	1			

გიორგი

აგერ, ჩვენს გვერდით, თვალსა და ხელს შუა გაიზარდა. თითქოს გუშინ იყო, დიდრონთვალება, კეთილად მომღიმარე პატარა, ენერგიულ ბიჭს საოცარი სითბო რომ შემოჰქონდა ჩვენს ოფისში. კარატეში მიღებული პირველი წვრთნის შედეგები, საოცნებოდ ქცეული კლიპისათვის სიმღერის ჩაწერა, გასტროლი ანსამბლთან ერთად, ჩვენს სარედაქციო მნიშვნელოვან საღამოებზე მოხდენილად შესრულებული ცეკვა თუ სიმღერა, ინსტანციებში სირბილი მეგობრის მძიმედ დაავადებული ცოლის დასახმარებლად, თანადგომისა და თავაზიანობის განსაკუთრებული ფაქტები — რომელი ეპიზოდით არ გვახსენდება ახლა გიორგისთან წლობით ნაფერები ურთიერთობა.

17 წლის ასაკში გადატანილი მისი უმძიმესი ოპერაციაც გვახსოვს — როგორ შევთხოვდით მაშინ უფალს, გადაერჩინა ეს ლამაზი სიცოცხლე, ისევ ემღერა ჩვენს გიოს, ისევ ეცეკვა, ისევ გაეშალა ოცნების ფრთები.

8 არაჩვეულებრივი წელი აჩუქა უფალმა ბიჭს. და აჩუქა მელანო — მშვენიერი ჭიათურელი გოგონა, რომელიც გიორგისთვის მეუღლეც იყო და ყველაზე ახლო მეგობარიც ამქვეყნად. ამ ულამაზესი სიყვარულის გვირგვინად კი პატარა ანამარია იქცა, ახალგაზრდა მშობლების სანუკვარი პირმშო. გიორგიმ უნივერსიტეტი დაასრულა, იუსტიციის უმაღლეს სკოლაში დაიწყო სწავლა, ბევრი ჩანაფიქრი ჰქონდა...

მაგრამ, რომ არ მოველოდით, სწორედ მაშინ დამთავრდა ზღაპარი სიყვარულისა.

წავიდა 26 წლის გიორგი გუბელაძე. წავიდა გულდათუთქული მშობლების ერთადერთი შვილი...

გაზაფხულმა ფერებით მოქარგა არემარე, ბუნება სიცოცხლით ივსება.

გიორგი კი აღარ არის, აღარ,

თანაგრძნობა

გაზეთ „P.S.“-ის რედაქცია უდიდეს მწუხარებაში თანაუგრძნობს ნატო და გია გუბელაძეებს, ბიძაშვილის — **გიორგი გუბელაძის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „P.S.“-ის რედაქცია მწუხარებაში თანაუგრძნობს ყოფილ თანამშრომელს, ჟურნალისტ მანანა ცანავას, დედის, **ლამარა ცანავას** გარდაცვალების გამო.

ჩანასახი

მოვალეობა

დათო გამთენაძე

ღობეზე შეფრენილმა მამალმა ფრთა ფრთას შემოჰკრა და ისე ხმამაღლა დაიყივლა, შორს ყაბალახმოხვეულ გოროზი კაცივით გაუცინარ მთებსაც კი მოჰგვარა შვება და ღიმილი. შეიშმუშნა ნამძინარევი ბუნება აკვანში მწოლიარე ჩვილივით და კამკამა თვალები გაახილა. მალე მზეც ამოვიდა სითბოთი, სიყვარულითა და სიცოცხლით სავსე. მთების ღიმილი და გაღვიძებული ლამაზი ბუნების დანახვა ისე ესიამოვნა — აჰა, ყველაფერი თქვენთვის მიჩუქნიაო, — თქვა აღტაცებულმა და სავსე მკერდიდან ნათელი სხივების შადრევანი გადმოაფრქვია. მარგალიტივით გაბრწყინდა ფოთლებსა და ბალახებზე გაბნეული ცვარი. საამურად დაიწყეს ჩიტებმა სტვენა. ყვავილებმა კეკლუცი გოგონებივით ყელი მოიღერეს და მოალერსე ნიავს ლამაზი თვალები შეანათეს.

მიყვარხართო, — ჩასჩურჩულა ნიავმა და ყვავილების გულში ჩაკვრა მოინდომა. — არა გვჯერაო, — გადიკისკისეს ყვავილებმა, თავები აქეთ-იქით გადაარხიეს, თვალები ეშმაკურად განაბეს და ტრფობამორეულ ნიავს გულზე ცეცხლი კიდევ უფრო შემოუნთეს.

გზაზე მალე ადამიანებიც გამოჩნდნენ. ნათელსახიანები და შენიღბულები, კეთილი გულისანი და უგულონი. ვხედავ, ზოგს სახეზე უსაზღვრო სიკეთის შუქი დასთამაშებს. მიდიან და გზაზე ლამაზ ნაფეხურებს ტოვებენ. მეორენი კი ხელისცეცებით ერთმანეთს ეძებენ, დაბორიალობენ თვალახელილ დედამიწაზე, თვალაუხელელ მიტოვებულ კატის კნუტებივით, ერთმანეთს კი მაინც ვერ პოულობენ, უგულონი არიან და იმიტომ...

გულისტკივილით შევყურებ ამ ნიღაბაფარებულ ადამიანებს, თვალებზე ავკაცობის გულისამრევი ლიბრი რომ გადაჰკვრიათ; ნაცრისფერ თავზე შეტრუსული ნამუსის ქუდის დანახვა ისევე მაკრთობს, როგორც შიშველ მხრებზე დაუმსახურებლად ტირიფის წნელის გატყლაშუნება.

ისევ შემოჰკრა ფრთა ფრთას მამალმა და რიხიანად დაიყივლა:

— მოიშორეთ ნიღბები! მეც მინდა ისე ხმამაღლა ვიყვირო, რომ მთებსაც კი გადასწვდეს ჩემი ხმა. „და ვყვირი: საკუთარი ხელებით გადიწმინდეთ თვალთაგან ლიბრი, ადამიანებო, თორემ ერთმანეთს დაეჯახებით ან კლდეზე გადაიჩეხებით! დაწვით ნიღბები, თორემ ხომ შეიძლება მათი სიმძიმით პლანეტამ წონასწორობა დაჰკარგოს. ანდა რა აზრი აქვს სილამაზეს, თუ ვერ დაინახე და ისე ვერ აღიქვი, როგორიც სინამდვილეშია. მერე და როგორი საამურია სიცოცხლე ერთმანეთის სიყვარულში. რა ლამაზია მზის სხივებში ვერცხლისფერად აელვარებული ბუნება, გვირილებით დაფიფქული ხავერდოვანი ველი. აყვავებული, მწვანე კალაპოტში არტახებაწყვეტილი, ფეხშიშველა, ცისფერთვალა ნაკადული, რომელიც ბედნიერებასთან შესაერთებლად იჩქარის. ჰო, ყველაფერი ლამაზია, ბუნებაც და ადამიანებიც. ქვასაც

თავის სილამაზე აქვს. გინდათ რომ დაინახოთ? აჰა, გიწვდით ხელებს, პეშვი ნუკრის კამკამა ცრემლებითა მაქვს სავსე. წრფელი უმანკო ცრემლებით მოიბანეთ სახიდან ავკაცობისა და სიამაყის ლაქები. სიცოცხლეჩამდგარი აზრიანი თვალებით ერთმანეთს ლამაზი სული დავანახოთ, თბილი ღიმილი ვაჩუქოთ. უგულო ღიმილი და კბილების გამოჩენა ცარიელ თავისქალებს უფრო შეშვენის. დახმარებისათვის სუფთა ხელები გავუწოდოთ ერთმანეთს, ჭირი და ლხინი თანაბრად გავიზიაროთ, ნურასოდეს დაგვავიწყდება, რომ დაცემულს ფეხზე წამოყენება სჭირდება, სუსტს — მხარში ამოდგომა, წინ მიმავალს კი — ომახიანი შეძახილი. ეს გზა თქვენც გეკუთვნით. მას სიცოცხლე ჰქვია. დაე, ყველამ ისე გავიაროთ, ნათელ კვალს თუ არა, ლაქას მაინც ნურავინ დავამჩნევთ! ნათელი კვალისათვის გამრჯე მარჯვენა, სიტყვის და საქმის ერთიანობა და ნათელი აზრია საჭირო. „საქმემან შენმან წარმოგაჩინოსო“, ადამიანო, თორემ გზაზე ნაფეხურებს ცხოველებიც ტოვებენ, იმ განსხვავებით, რომ მასში მხოლოდ წყალსა და ჭუჭყს შეუძლია თავის მოყრა. ცხოვრების გზაზე კეთილი კაცის ნაკვალევი ისევე კიაფობს, როგორც ღამით ქუჩის გასწვრივ ლამაზად ჩამწკრივებული ლამპიონები. ჩვენ ლამაზი სულით გავუნათოთ ერთმანეთს გზა. რათა ჩვენი სიცოცხლეცის ბროლის სარკეშიც სჩანდეს სპეტაკი და მიმზიდველი, როგორც ქორფა ვარდის ფურცელზე მოციმციმე ნამი. ვეცადოთ ზამთარ-ზაფხულ აუმღვრეველ, დაუშრობელ წყაროსავით გავცეთ სიკეთე, დაუნანებლად და უვალოდ.

ჩვენი მოვალეობაც ხომ ეს არის, ადამიანებო!

გასაოცარი და დაუჯერებელი ისტორია გემზე

1943 წელს აშშ-ს საზღვაო ძალებმა მოინდომეს, რომ შეექმნათ საზღვაო ხომალდი, რომელიც მოწინააღმდეგეების რადარებისთვის უჩინარი იქნებოდა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ხომალდი „ელდრიჯი“, რომელსაც საფუძვლად აინშტაინის გათვლები ედო. გამომცდელებმა ხომალდზე დააყენეს სპეციალური რადარები და გადაწყვიტეს, რომ გემი გაეტესტათ. გამოცდამ წარმატებით ჩაიარა, გემი გაქრა, ოღონდ არა მხოლოდ რადარებისთვის... გემი საერთოდ გაქრა, უხილავი გახდა.“ გარკვეული დროის შემდეგ, „ელდრიჯი“ სხვა ადგილას იპოვეს, ნახევრად მკვდარი და ნახევრად შეშლილი ეკიპაჟით.

ეს ამბავი მაშინვე არ გახმაურდა... დღეს რომ ამ გემის შესახებ იცით, ასტროფიზიკოს მორის ჯესუპის დამსახურებაა. 1956 წელს მან გამოსცა ნაშრომი დროსა და სივრცეში მოგზაურობის შესახებ. სწორედ ამ ნაშრომს გამოეხმაურა კ. ალენდე, რომელიც ამტკიცებდა, რომ ხომალდ „ენდრიუ ფიურესეტზე“ მსახურობდა. „ენდრიუ ფიურესეტიც“ ზემოთხსენებული ექსპერიმენტის მონაწილე იყო. მისი მტკიცებით, მან თავისი თვალით ნახა, როგორ გაუჩინარდა „ელდრიჯი“ ნისლში, მაგრამ ამის შედეგად არანაკლებ საინტერესო ამბები მოხდა.

„ელდრიჯი“ ისევ გაჩნდა, ხოლო გადარჩენილ ეკიპაჟს უცნაური ანომალიები დაეწყო: ჯერ იყო და 2 მეზღვაური თავისით აალდა და 18 დღე იწვოდა, ისე რომ ვერავინ შეძლო ცეცხლის ჩაქრობა და შემდეგ ერთი მატროსი საკუთარი სახლის კედელში გაუჩინარდა, საკუთარი ოჯახის თვალწინ.

ეს ყველაფერი ჯესუპიმ მოიძია და ბოლოს საკუთარი აზრი ჩამოაყალიბა ამის შესახებ: „ექსპერიმენტი ძალიან საინტერესო და, იმავდროულად, ძალიან საშიშია. დიდ ზეგავლენას ახდენს მონაწილე სუბიექტებზე. ექსპერიმენტში მონაწილეობდნენ მაგნიტური გენერატორები, რომლებიც მუშაობდნენ რეზონანსულ სიხშირეებზე და ქმნიდნენ საშინელ ველს ხომალდის გარშემო. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი განზომილებიდან დროებითი ამოვარდნა და შეიძლება შეფასდეს, როგორც სივრცითი გარღვევა, თუ პროცესი კონტროლს დაექვემდებარება.“

მაგრამ, თუკი ამ ამბის გამოძიება საჭირო იყო, განა თავის დროზე არ გამოიძიებდნენ? ამას ვერ მიხვდა ჯესუპი, რომელმაც, როგორც ჩანს, საკმაოდ ბევრი რამ შეიტყო ამ ექსპერიმენტის შესახებ და დაისაჯა კიდეც... იგი მოკლული იპოვეს. სამხედრო საზღვაო ძალები კატეგორიულად უარყოფდა ამ ექსპერიმენტის ჩატარებას, მაგრამ დროთა განმავლობაში მოწმეები გამოჩნდნენ, რომლებსაც ნანახი ჰყავდათ ეს გემი, ასევე ცნობილი გახდა აინშტაინის მიერ შესრულებული გამოთვლების შავი ჩანაწერები, საგაზეთო სტატიები, სადაც აღწერილი იყო, როგორ გადნა ეკიპაჟის ორი გადარჩენილი წევრი ყველას თვალწინ.

ეს ამბავი დღესაც არ არის ბოლომდე გახსნილი და დღესაც უდიდეს ინტერესს იწვევს. ამერიკელი ინჟინერ-ელექტრიკოსი ადამ სკილინგი ჰყვება:

1990 წელს ჩემმა ფლორიდელმა მეგობარმა მარგარეტ სენდისმა მე და ჩვენი საერთო მეგობრები დაგვპატიჟა ექიმ კარლ ლაისლერთან, რათა განგვეხილა ექსპერიმენტის ზოგიერთი დეტალი. ლაისლერი ფიზიკოსია, რომელიც მუშაობდა 1943 წელს აღნიშნულ პროექტზე. მისი თქმით, გემზე დაყენებული გენერატორები იმ რაოდენობის ენერგიით იკვებებოდა, რაც საშუალო ზომის ქალაქის განათებას სავსებით ეყოფოდა. ექსპერიმენტის იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ ძლიერ ელექტრომაგნიტურ ველს უნდა შეესრულებინა ეკრანის ფუნქცია რადარის ტალღებისთვის.

ლაისლერი ნაპირზე იმყოფებოდა და აკონტროლებდა ექსპერიმენტის მსვლელობას. როცა მაგნერტონი ამუშავდა, ხომალდი გაქრა. გარკვეული დროის შემდეგ ისევ გაჩნდა, მაგრამ ეკიპაჟის დიდი ნაწილი გარდაცვლილი იყო. ზოგიერთი გვამი გარდაიქმნა იმ ტიპის მეტალად, რომლისგანაც ხომალდი იყო დამზადებული. ამბის მოყოლისას იგრძნობოდა, რომ დაინვალიდებული ლაისერი ამ დრომდე გრძნობდა სინდისის ქენჯნას გარდაცვლილ მეზღვაურთა გამო.

ლაისერი და ექსპერიმენტის მონაწილე მისი კოლეგები ვარაუდობენ, რომ მათ გაგზავნეს ხომალდი სხვა დროში. ამ დროს ხომალდი დაიშალა მოლეკულებად და როცა დაიწყო უკუპროცესი, ადამიანის ორგანული მოლეკულების ნაწილი შეიცვალა მეტალის ატომებით.“

icode.ge